სიმღერა სიყვარულივით უკვდავია



ანზორ ერქომაიშვილი

## მამაპაპური კულტურა – გზა სინათლისკენ

6

## ხუთი შეკითხვა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას

„სწორი პასუხი სადაა, თორემ კითხვა ისედაც ყველა სწორია“
შ. ნიშნიანიძე

1. მართლა ფიქრობთ, რომ „რუსთავი-2“ დამოუკიდებელი ტელევიზიაა?

2. ზოგადად, რა უფრო სათაკილოა – იყო დამოკიდებული სახელმწიფოზე თუ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“?

3. სად იყავით და რატომ არ აპროტესტებდით სააკაშვილის ბრძანებით ტელეკომპანიების – „იბერიისა“ (2004) და „იმედის“ (2007) დარბევას?

5. რას ნიშნავს გამოთქმა: „ეგზისტენციალური მნიშვნელობის საქმე ქართული დემოკრატიისათვის“?

6. წარსულის გამო სულ არ გრცხვენიათ?

ბატონო ნიკა, თუ ამ შეკითხვებს არ(ვერ) უპასუხებთ, ეს თქვენი ეგზისტენციალური უმწეობის დასტური იქნება...

**იოსებ ჭუმბურიძე**


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 აგვისტო, 2015 წელი.

№148 (7793)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.


### აგვისტოს 5 ტრაგიკული დღე

# ნაციონალთა ფარისევლობას საზღვარი არა აქვს...



ნაციონალები მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე.
2015 წ. 7 აგვისტო.

**მკითხველს ვთავაზობთ აგვისტოს ომთან დაკავშირებით ევრაზიის ინსტიტუტის სპეციალისტების გამოკვლევის დასკვნას. მას გარკვეული სიცხადე შეაქვს ამ უმნიშვნელოვანესი და ტრაგიკული მოვლენის მთელ რიგ საკვანძო საკითხებში. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება.**

თუ არ იქნა გააზრებული, 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების რეალური მიზეზები, ქრონოლოგია და ის, თუ ვის აძლევდა ხელს მისი გაჩაღება, ჩვენ ვერ გამოვალთ შიდა თუ გარეშე ძალების მიერ შექმნილი მრუდე სარკეების ტყვეობიდან. უამისოდ კი შეუძლებელია საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე სწორი მსჯელობა.

შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ:

ა) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ის იმდროინდელი ადმინისტრაციის წაქეზებით თუ არა, წაყრუებით მაინც.

ბ) რუსეთი ობიექტურად არ იყო დაინტერესებული სეპარატისტული რესპუბლიკების დე იურე აღიარებით, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მას სხვა გამოსავალი არ დაუტოვა საქართველოს ეგრეთ წოდებულმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ.

გ) რუსეთი დღესაც არ არის დაინტერესებული საქართველოს დაშლით და დანაწევრებით. პირიქით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი მომავალში საქართველოში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი და გარანტი გახდეს.

დ) ტყუილია სააკაშვილის და ნაცმოძრაობის პროპაგანდისტთა მტკიცება, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი და ბუნებრივი მტერია. ორ ქვეყანას შორის შექმნილი რთული სიტუაცია სააკაშვილის რეჟიმის და ცალმხრივად პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ბრალია.

**უკვე საქართველოს მოსახლეობასა და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გააცნობიერებენ ისინი არსებულ რეალობას და, შესაბამისად, აირჩევენ იმ გზას, რაც წარსულის შეცდომების გამოსწორების საშუალებას მოგვცემს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ერის მტანჯველი ტკივილების მკურნალობა და საქართველოს სხეულზე არსებული იარების მოშუშება.**

**ევრაზიის ინსტიტუტი**

### „სიყვარულმა, მე კი არა, გადარია ტარიელი“



4

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად გამოაცხადა(?!)

### „ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა!“

5

## ნეტავი თბილისის მერიას პრესსამსახური თუ აქვს?!

## რათა სამართალმა, ბოლოს და ბოლოს, პური ჭამოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

3

## საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს ომის მე-7 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

2

### კვირაძალს საკითხავი

## „სისხლმა დაგაბრუნა, ბაბუ!“...



8

## დავით თურდოსპირელის სიყვარულის ამბავი

9



# საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს ომის მე-7 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს ომის მე-7 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. საგარეო უწყების განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.**

„2015 წლის 7 აგვისტოს 7 წელი შესრულდა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელებისა და სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეგიონების ოკუპაციიდან. 2008 წლის აგვისტოს ომის შვიდი წლის თავზე საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი კვლავაც ოკუპირებულია, რის შედეგად უხეშად ირღვევა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებები, ხოლო ეთნიკური წმენდის ასობით ათასობით მსხვერპლს არ ეძლევა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება.



საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კონსტრუქციული ზომების მიუხედავად, მოსკოვი აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ მცოცავი ანექსიის პოლიტიკას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევით. ამის ნათელი მაგალითია მოსკოვის მიერ სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან ინტეგრაციის შესახებ ე.წ. „ხელშეკრულების“ გაფორმება, ასევე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესის გაგრძელება და ე. წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება, რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, უპირველესად, თავისუფალი გადაადგილების უფლებას.

საქართველო ხაზს უსვამს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის მნიშვნელობას, რომელიც 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. ქართული მხარე მზად არის, განაგრძოს ჟენევის მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობა, რუსეთსა და საქართველოს შორის მდგარი პოლიტიკური საკითხების მოგვარების, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღების და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის, ასევე დევნილი მოსახლეობის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მიზნით.

შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპულ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქართველო გამოხატავს მადლიერებას და კვლავ მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, გააგრძელოს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობამ გადადგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთთან კონფლიქტის დეესკალაციის მიზნით, რის შედეგადაც დაიწყო ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო, კულტურული და ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენა. საქართველოს მთავრობა კვლავაც გააგრძელებს მოსკოვთან დე ესკალაციის პოლიტიკის განხორციელებას და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ და პოლიტიკურ ბერკეტს არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით და კიდევ ერთხელ სამძიმარს უცხადებს 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

## ალიან-ჩალიანი

### ყაზახეთში ფოტოგამოფენა გაიმართა

**გამოფენაზე** წარმოდგენილი იქნა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის, ასევე 1990-იანი წლების კონფლიქტის და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის ამსახველი ფოტომასალა.



გამოფენა ყაზახეთში საქართველოს ელჩმა ზურაბ პატარაძემ გახსნა. ელჩმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად წარმოქმნილ მძიმე პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ვითარებაზე ინფორმაცია მიაწოდა. ზურაბ პატარიძემ გამოსვლაში უკანასკნელ პერიოდში ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების მიერ ე.წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟებაზე ყურადღება გაამახვილა.

გახსნის ცერემონიის დასრულების შემდგომ საქართველოს საელჩოს ორგანიზებით მიღება გაიმართა. ფოტოგამოფენას ასამდე სტუმარი დაესწრო, მათ შორის ყაზახეთის რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წევრები და ჟურნალისტები.

### აფხაზეთის რკინიგზის დასუფთავება დაიწყეს

**აფხაზეთის** რკინიგზის ე.წ. სამმართველოს დირექტორის მოადგილის იგორ მარღანიას განცხადებით, სამხედროები ოჩამჩირიდან ენგურამდე ლიანდაგს ხავსისგან წმენდენ. დღესდღეობით რკინიგზის ეს მონაკვეთი დანგრეულია. მარღანია ვარაუდობს, რომ ლიანდაგს ასუფთავებენ, რათა შემდეგ მისი აღდგენა მოხდეს. ტრანსპორტის სახელმწიფო სამმართველოს ხელმძღვანელი ზურაბ ხაჯიმბა ასევე ადასტურებს, რომ სარკინიგზო გზა მისი კაპიტალური რემონტისთვის მომზადების მიზნით იწმინდება, რათა აფხაზეთზე სატრანზიტო მატარებელი აღდგეს. ამასთან, ხაჯიმბა ამბობს, რომ აფხაზეთში ეს სამხედროები მოულოდნელად გამოჩნდნენ. „ჩვენი მხრიდან ამ საკითხზე არანაირი ნებართვა არ გაცემულა“, — აღნიშნა მან, თუმცა დასძინა, რომ აფაზურმა მხარემ მოსამზადებელი სამუშაობის ჩატარებაზე ნებართვა გასცა.



არაოფიციალური ინფორმაციით, რკინიგზის გასუფთავების სამუშაოებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 800 სამხედრო მოსამსახურეა ჩართული.

## რუსებმა „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერი აღადგინეს



**გორის მუნიციპალიტეტის სოფლების — ხურვალეთისა და წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი მწვანე ბანერის დემონტაჟიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რუსული საჯარისო დანაყოფის ე.წ. მესაზღვრეებმა აღნიშნული ბანერი კვლავ ძველ ადგილას დააბრუნეს.**

ბანერის სიახლოვეს შეინიშნებოდა შეიარაღებული პირების სიმრავლეც.

წითელუბნის და ხურვალეთის მცხოვრებლები ამ ტერიტორიაზე გადაადგილებისგან თავს იკავებენ.

ამასთან, ხურვალეთის და წითელუბნის მიმართულებით არსებულ საგუშაგოებზე ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინ მედიის გადაადგილება კვლავ შეზღუდეს. როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი იაგო საური აცხადებს, შეზუდვა გარკვეული დროით უსაფრთხოების გამო დაწესდა.

რამდენი ხნის განმავლობაში იქნება მედიის წარმომადგენლებისთვის ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრის მიმართულებით გადაადგლება შეზღუდული, ჯერჯერობით უცნობია.

## დაზუსტება

### ვინ თქვა, სომხები აფხაზეთის ყიდვას აპირებენო?..

**ჩვენი გაზეთის** გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე წყაროს მიუთითებლად დაიბეჭდა მასალა — „**სომხები აფხაზეთის ყიდვას აპირებენ**“ (რუბრიკა — „**მერამდენედ, ჰაოს?!**“), სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საერთაშორისო ცენტრის „**ინვესტიციური სტრატეგიების**“ თავმჯდომარის **ამრამ პეტროსიანის** განცხადებით, მსოფლიოს სომხური დიასპორის მიერ გამოყოფილია ფული, რომელსაც აფხაზეთის განვითარებისთვის გამოიყენებენ.

ამ მასალის პუბლიკაციას გუშინ ჩვენს რედაქციაში რამდენიმე სომეხი მეგობრის, ცოტა არ იყოს, აღშფოთებული ზარი მოჰყვა: რატომ წყაროს არ უთითებთ, ეგ ინფორმაცია წმინდა წყლის პროვოკაციაა, რომელიც ჩვენი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას ვნებსო.

ამ ჩვენს სომეხ მეგობრებს ვაცნობებთ, რომ მასალა კომპიუტერში დევს საინფორმაციო სააგენტოს — „**ამბები.გე საიტზე**“, და როგორც ამ სააგენტომ შეგვატყობინა, პირველწყაროდ გამოყენებულია სააგენტო www. Sukhum-moscow.ru.

# იქნებ ახლა მაინც მოეგონ გონს, ვის იწყალებენ და ვის არა?

**„დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი და ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე პრეზიდენტთან არსებულ შეწყალების კომისიას 4 შვილის დედის თეა სირაძის შეწყალების თხოვნით მიმართავენ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით მათ პრეზიდენტის სასახლესთან ბრიფინგი გამართეს და თეა სირაძის გათავისუფლების მოთხოვნით პეტიცია შეიტანეს, რომელსაც მათი განცხადებით, 1200 ადამიანი აწერს ხელს.

„საქართველოში სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი რომ ჯერჯერობით ზედმეტია, ამას ყველა ვხედავთ. ერთ-ერთი ასპექტი ამ რეალობის არის ის, რომ ადამიანების შეწყალება, მათ შორის, პრეზიდენტის მხრიდან, სრულიად გაუგებარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება. შეწყალების კომისია იწყალებს ადამიანებს, რომლებსაც არც ციხის ადმინისტრაციის დადებითი რეკომენდაცია გააჩნიათ და არც სხვა რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, მაგალითად, ზონდერ პარლამენტარის -აკაკი ბობოხიძის ძმას და ამ დროს ციხეში რჩება და უარს ეუბნებიან თეა სირაძეს, 4 შვილის დედას, რომელსაც ადამიანების ცემისთვის 28 წელი მიუსაჯეს, სხვა დანაშაული მას არ ჩაუდენია“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.



მისივე თქმით, ზოგადად, ქალებთან მიმართებაში ზეპირსიტყვიერად ყველა ლოიალურია, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმა წლევანდელი წელი ქალთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა, თუმცა რეალობაში მათი შეწყალება, პრაქტიკულად, არ ხდება, რაც „სრულიად გაუგებარი და მიუღებელია“.

როგორც ჩხარტიშვილმა აღნიშნა, დაწყებულია კამპანია თეა სირაძის გათავისუფლების მოთხოვნით და სულ რაღაც ერთ კვირაში 1200 ხელმოწერის შეგროვება მოხდა.

„თეა სირაძის შეწყალებასთან ერთად ჩვენ მოვითხოვთ, რომ იქნას გადახედილი და განსაზღვრული მკაფიოდ შეწყალების კომისიის კრიტერიუმები, მათ შორის, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყოს ქალთა მიმართ ლოიალური და ადეკვატური მიდგომა. ბევრი თემაა მოსაწესრიგებელი, რათა საზოგადოებაში არ რჩებოდეს შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება ამა თუ იმ ადამიანის შეწყალება და სხვებისთვის უარის თქმა, რომლებსაც გაცილებით ბევრი არგუმენტი გააჩნიათ იმისთვის, რომ არ იყვნენ საპატიმროში“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.

როგორც ადვოკატმა გრიგოლ გაგნიძემ განაცხადა, 4 შვილის დედას 2010 წელს 5 ინდოელი მამაკაცის ცემის გამო 28 წელი მიუსაჯეს. 37 წლის თეა სირაძეს ბრალად ადამიანის გატაცება, ფულის გამოძალვა და ხულიგნობა ედება, თუმცა, იგი ამ ბრალდებებს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ 5 ინდოელი მამაკაცისგან თავს იცავდა. თეა სირაძეს ამნისტიის წყალობით 28 წლიდან 13 წელი დარჩა მოსახდელი.

## მინდა, მთავრობის მეთაურმა იცოდეს!

# რათა სამართალმა, ბოლოს და ბოლოს, პური ჭამოს

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო ირაკლი!**

**მოგესალმებით და გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას.**

**ამავდროულად, იძულებული ვარ, ისევ მოგმართოთ, ვინაიდან ჩემი ყველა წინა მომართვა ურეაგირებოდ დარჩა.**

**ამ დღეებში წავიკითხე „გურია NEWS“-ისთვის ბატონი ბიძინას მიერ მიცემული ინტერვიუ. ის დარწმუნებულია, რომ დღევანდელ მთავრობას ხალხის ესმის, ითვალისწინებს ხალხის ნათქვამს, აზრს და გასაჭირს. მეც მეგონა, ასე იქნებოდა. მაგრამ...**

ამ ორი წლის წინათ მივმართე სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელს, რომ უსამართლოდ მოექცა ჩემი ოჯახის წევრს და შეურაცხგვყო. მან თავი აარიდა ყოველგვარ კომუნიკაციას. ამავე საკითხზე სამეთვალყურეო საბჭოსაც მივმართე, შედეგი იგივე იყო. „საპარტნიორო ფონდის“ და ვიცე-პრემიერებისადმი მიმართვებიც ურეაგირებოდ დარჩა. ამის შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მეშვეობით ექვსჯერ მოგმართეთ, მაგრამ ისინიც ურეაგირებოდ დარჩა.

ყველა ზემოჩამოთვლილი ადრესატი, თითქმის ერთნაირად დაჰიპნოზებული, ამ მიმართვებს თავიდან იცილებდა და თითქმის „ტრანზიტად“ აგზავნიდა „საქრკინიგზაში“ ულიმღამო მინაწერით.: „შემოვიდა, გიგზავნით“. ასეთი არასერიოზული მიდგომის გამო „საქრკინიგზაც“ თავიდან „იცილებდა“ ამ მიმართვებს და „გადაულოცავდა“ ხოლმე თავის სისტემაში ყველაზე დაბალ რგოლს, მე ვიტყოდი, „მეისრეს“. ამ „მეისრემ“ არ იცის, მისგან რას თხოულობენ, როგორ უპასუხოს. აი, ამიტომ გრძელდება ეს უსამართლობა და ჩემი ოჯახის შეურაცხყოფა უკვე ოცდაოთხი თვეა.

ზემდგომი ორგანოებიდან ჩემს ერთ-ერთ მომართვაზე მაინც რომ ყოფილიყო დაახლოებით ასეთი რეზოლუცია: **„...გიგზავნით, შეისწავლეთ შემოსული წერილი-მომართვა, მიიღეთ ზომები, წერილობითი პასუხი ერთი კვირის განმავლობაში გაუგზავნეთ მოქალაქეს და ასლი ჩვენ...“** ასეთი საქმიან გადაწყვეტაზე ორიენტირებული რეზოლუცია დაშვებულ ხარვეზს მოკლე დროში აღმოფხვრიდა და მე ნამდვილად ვიტყოდი, რომ ჩვენ დღეს სახალხო ხელისუფლება გვყავს. ჯერჯერობით კი არავის აინტერესებს ჩემი ოჯახის ბედი. ეს შემთხვევითია? თუ სისტემური?

უსიამოვნება დაიწყო 2013 წლის 16 ივლისს, როცა „საქართველოს რკინიგზამ“ მოულოდნელად და გასაკვირად გამოსცა დადგენილება №2/35. მასში ჩაწერილია **„...მირზა დოლიძე მიზანშეწონილია, განთავისუფლდეს თანამდებობიდან და ამავდროულად შენარჩუნებულ იქნას შრომითი ურთიერთობა მოადგილის პროზიციაზე 1 (ერთი) თვის ვადით...“**

ამას წინ არ უძღოდა არავითარი შენიშვნა, არავითარი მითითება, არავითარი საუბარი. არ გვესიამოვნა, მაგრამ გვეგონა, რომ ბატონი ბიძინას ხალხი არ დაუშვებდა უსამართლობა-უზნეობას (არ უნდა ვნდობოდით?).

სინამდვილეში კი მოგვექცნენ ვერაგულად და უსამართლოდ. ასეთი ჩანაწერით ბატონმა **მ. ბახტაძემ „მწვანე აუნთო“ მირზა დოლიძის არა მარტო თანამდებობიდან გათავისუფლებას, არამედ სისტემიდან გაშვებას. ნუთუ ასეთი სიჭარბეა საქრკინიგზაში თანამედროვედ განათლებული ხალხისა** (ნახეთ ჩემი ვაჟის CV)?

ბატონმა მ. ბახტაძემ უარი თქვა ყოველგვარ კომუნიკაციაზე. დაიმალა, ჩაიჭრა. ვერ გვიპასუხა, რისთვის ან ვისთვის იყო **„მიზანშეწონილი განთავისუფლება“**. სამაგიეროდ თანამდებობაზე უკონკურსოდ ნიშნავდა აბსოლუტურად საქმეში ჩაუხედავ, არაპროფესიონალ, რეპუტაციაშელახულ კადრებს! ამ ფაქტების შესახებ დეტალურად მივუთითე თქვენდამი ჩემს 2015 წლის 19 თებერვლის მიმართვაში. სამწუხაროდ, ეს მიმართვა თავისი დეტალური ფაქტებით ისევე „დაიმარხა“, როგორც ადრე თუ მერეც გამოგზავნილები (როგორც ვთქვი, მხოლოდ თქვენს სახელზე გამოვგზავნე ექვსი).

**ამიტომ, დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერ დავეთანხმები ბატონ ბიძინას, რომ მთავრობის დღევანდელ მაღალჩინოსნებს ხალხის ესმის.**

ბატონო ირაკლი, თქვენ შეერთებულ შტატებში საქმიანი ვიზიტით ყოფნისას მოძებნეთ და შეხვდით ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს; რამდენიმე კვირის წინათ კი ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვდით კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებს და ისაუბრეთ სახელმწიფოს მთავარ კაპიტალზე — ადამიანზე. და იმის აუცილებლობაზე, რომ კვალიფიციური და ნიჭიერი ადამიანების რესურსების განვითარება და მათი სრული რეალიზაცია არის ხელშესაწყობი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. **„საქრკინიგზის“ ხელმძღვანელობამ კი ისე გაუშვა თავისი სისტემიდან საზღვაო ეკონომიკისა და ლოგისტიკის მეცნიერებათა მაგისტრი (როტერდამი, ნიდერლანდები), უფრო ადრე კი ეკონომიკის ბაკალავრის განათლება მიღებული (ამერიკულ უნივერსიტეტში) მირზა დოლიძე, რომ ხელმძღვანელებმა მასთან დალაპარაკებაც არ ისურვეს, ჩუმად მოაწერეს ხელი №2/35 დადგენილებას და დაიმალნენ.**

თქვენთან ბოდიში, ბატონო ირაკლი, მაგრამ თქვენი მთავრობის მაღალჩინოსნებს თქვენიც არ ესმით, არათუ ხალხის და ჩემი, ან ჩემისთანების. **თქვენ ეძებთ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, თქვენი მოადგილეები თუ თანაშემწეები კი მასეთებს იცილებენ.** მათ სხვა გაგება-მოთხოვნა აქვთ? მე ვთვლი, რომ თქვენი მოქმედებები, ინიციატივები, მიმართვები ყველამ უნდა მიიღოს როგორც დირექტივა. **ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი ოჯახი არის უსამართლობის მსხვერპლი და შეურაცხყოფილი, არამედ იმიტომ, რომ სხვანაირი ქმედებებით ქვეყანა ვერ შედგება სამართლიანობისა და დემორკატიის პლატფორმაზე.**

**ეს კი ჩვენი ხალხის და ქვეყნის წაგებაა.**

გავიმეორებ, რომ სს „საქრკინიგზის“ **„მიზანშეწონილია“** ისე ჟღერს ჩემთვის, როგორც წინა მთავრობის დროს მიღებული **„არსებობს გონივრული ეჭვი“**. თქვენ სხვებზე მეტად მოგეხსენებათ რაოდენობა და მასშტაბები წინა დროში დაგროვილი უსამართლობებისა. ეს ხომ დაგმობილია.

ბატონო ირაკლი! შორს ვარ იმ აზრიდან, რომ ყველა კორესპონდენცია, რომელიც მოდის თქვენს სახელზე, თქვენ უნდა წაიკითხოთ, ეს წარმოუდგენელია. მაგრამ დამეთანხმებით, რომ ოცდაოთხი თვე მოქალაქე ურეაგირებოდ არ უნდა დარჩეს.

გამოდის, რომ უსამართლობა ზეიმობს. ჩვენს შემთხვევაში ხომ ყველაფერი ზედაპირზე დევს, შესასწავლ-გამოსაკვლევიც არაფერია. ყველა ის ჩინოსანია პასუხისმგებელი უსამართლობის გახანგრძლივებაზე, ვინც ასე ცუდად იქცევა, ვგულისხმობ იმათ, რომლებიც არ უფრთხილდებიან მთავრობისა და თქვენს ავტორიტეტს, მათ, ვისაც მივმართე ამ უსამართლობის შესახებ, მათ კი უბრალოდ ბიუროკრატიულად გადააგზავნეს, გადაამისამართეს თავისგან შორს. გამოდის, რომ შემიძლია ჩემს მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე პროტესტი გამოვთქვა ნებისმიერ დონეზე, მაგრამ რეაგირება იქნება ნული.

**ბატონო ირაკლი, მაპატიეთ ასეთი ტონისთვის. მე გწერთ სიმართლეს. გთხოვთ, ჩემი ოჯახის წევრს მ. დოლიძეს ან მე მცირე ხნით მაინც შეგვხდეთ. ვიფქრობ, ასე დაჩქარდება ხარვეზის გასწორება. მე არ ვითხოვ ფულს, ბინას, მანქანას, ნაკვეთს... მე მოვითხოვ საქართველოს მოქალაქის კუთვნილ სამართლიანობას.**

**ჩემს წინა მომართვებში მრავალი დეტალი მაქვს აღწერილი, ამიტომ არ ვიმეორებ. საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, ვუპასუხო შეკითხვებს.**

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

პატივისცემით,

**ტარიელ დოლიძე.**

### მირზა დოლიძე



დავიბადე ბათუმში 1977 წელს. მყავს მეუღლე და ორი შვილი. მაქვს 3-წლიანი გამოცდილება სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე საქართველოს რკინიგზის შვილობილ ლოჯისტიკურ კომპანიაში. აღმასრულებელ მენეჯერად მუშაობის პერიოდში ბიზნესის საოპერაციო და შემოსავლების ზრდა გაორმაგდა, ამოქმედდა ახალი სატვირთო ტერმინალი. 2010 წლის ნოემბერში დავამთავრე საზღვაო ეკონომიკისა და ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტში, მაქვს მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება აუდიტორულ კომპანიაში დელოიტენდ ტუშ ჯორჯია, ბოლო პოზიცია იყო უფროსი საგადასახადო აუდიტორობა.

**სამუშაო გამოცდილება**

12/2014- დღემდე გ და მ ლოგისტიკა
**კომერციული მენეჯერი**
02/2014-10/2014 **სსიპ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**
ლოჯისტიკისა და ჰიდროტექნიკის პროექტების პორტფელის მენეჯერი.
09/2012-07/2013 **ტრანს კავკასუს ტერმინალსი**
ტერმინალების მართვის მენეჯერი
06/2011-09/2011 **შპს ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერ (GRTC)**
ბიზნესის განვითარების მენეჯერი
02/2011-05/2011 **შპს ქართული ფოლადი**, რუსთავი
ეკონომიკური ანალიზის განყოფილების უფროსი, ფინანსური დეპარტამენი.
05/2006-10/2009 **დელოიტ ტუშ საქართველო**, თბილისი
კონსულტანტი უფროსი საგადასახადო კონსულტანტი, საგადასახადო განყოფილება.
10/2005-04/2009 **პროკრედიტბანკი**, ბათუმის ფილიალი
საკრედიტო ექსპერტი.
2001-2004 **ქსილოტრეიდ სს ათენი**, საბერძნეთი

**სხვადასხვა**

ტრანს კავკასუს ტერმინალსი (2013/08-10) მრჩეველი, ფოთის გემთმშენებელი ქარხანა (2005), დამხმარე საზღვაო სურვეიერი (ნავთობისა და ნაყარი ტვირთების ინსპექტორების კომპანია ლეტრინა ს.ს. საბერძნეთი 2000-2001); ადმინისტრატორი (მაღალტექნოლოგიების კომპანია ეუროდინამიკს ს.ს. საბერძნეთი).

**განათლება**

2009-2010 **როტერდამის ერაზმუს უნივერსიტეტი, ნიდერლანდები**
საზღვაო ეკონომიკისა და ლოგისტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, პროგრამის სტიპენდიანტი
1995-2000 **ლავერნ კალიფორნიის უნივერსიტეტი (ULVC)** ათენის ფილიალი, საბერძნეთი
ეკონომიკის ბაკალავრი B.S.c სპეციალიზაცია საფონდო ინვესტიციებში.
1994 **წ.მ. ლორენსის კოლეჯი, ათენი, საბერძნეთი. ბრიტანული სკოლა.**
**პროფესიული და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები**
02/2103 Innovacion Managemnt, GIZ Find-ის ეგიდით ჩატარებული მართვის სემინარები 03/2010 BIMCO საზღვაო ჩარტერინგის სემინარი, სერტიფიკატი; როტერდამი, ნიდერლანდები
2007-08 ZCCA პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამა.
ვიცი ინგლისური, ბერძნული და რუსული ენები, სრულყოფილად ვფლობ MS საოფისე პროგრამებს და „ორს“.



# „სიყვარულმა, მე კი არა, გადარია ტარიელი“

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად გამოაცხადა(?!)



**ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა: დაავადება „სიყვარულის“ საერთაშორისო შიფრია F63.9. სიყვარული გაუთანაბრეს „ჩვეულებისა და მისწრაფების აშლილობას“, ისეთს, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია, კლეპტომანია და აზარტული თამაშებით მანიაკური გატაცება.**

**წერტილი დაესვა ამაღლებულ, უწმინდეს, ღვთაებრივ გრძნობას, რომელიც ზეციურ, უზენაეს არსებათათვის არის დამახასიათებელი: „იგია საქმე, საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, — ამბობდა შოთა რუსთაველი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებამდე რვა საუკუნით ადრე დასძენდა:**

**„მიჯნურსა თვალად სიტურფე**
**ჰმართებს მართ, ვითა მზეობა,**
**სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყრმე**
**და მოცალეობა,**
**ენა, გონება, დათმობა, მძლეთა**
**მებრძოლთა მძლეობა,**
**ვისაც ეს სრულად არა სჭირს, აკლია**
**მიჯნურთ ზნეობა“.**

**დამთავრდა!**

და არცა ღირს სიტყვის გაგრძელება, ამაო იქნება დროის უაზრო ფლანგვა, რადგან, ნეოლიბერალური აზროვნების მოდის მიმდევარ მეცნიერ-მედიკოსთა მიხედვით, სიყვარული ფსიქიკური აშლილობაა,

ანუ — სიგიჟე,

რომელსაც, ზემოთ დასახელებული ორგანიზაციის მტკიცებით, შემდეგი საერთო სიმპტომები ახასიათებს: **„სხვა ადამიანზე აკვიატებული ფიქრი, განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა; საკუთარი ღირსების გაზვიადებული შეფასება; საკუთარი პიროვნების სიბრალული; უძილობა; იმპულსური ქმედება; არტერიული წნევის ცვალებადობა; თავის ტკივილი; ალერგიული რეაქციები, აკვიატებული იდეის სინდრომი“**. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ფსიქიკური ავადმყოფობის ნიშანია.

კი სხედან სამედიცინო ოლიმპზე პატივცემული გვამები, მაგრამ მათი პრიმიტიული დასკვნა პრიმიტიული მეთოდითვე ბათილდება, ანუ „შესაკრებთა გადაადგილებით იცვლება ჯამი“: ნებისმიერი მკითხველისთვის თვალშისაცემი ხდება მათი დასკვნების შეუთავსებლობა სიყვარულთან.

მეტი სიცხადისთვის: „ახალი აღმოჩენის“ ავტორები ამტკიცებენ — სიყვარულის სიმპტომია, მაგალითად, თავის ტკივილი. გადავაადგილოთ ამ „თეორემის“ ელემენტები და გამოვა, რომ თავის ტკივილი არის სიყვარული, ანუ, თუ ადამიანს ასტკივდება თავი, აუწევს წნევა, შეაწუხებს უძილობა და ა.შ., ექიმს კი არ უნდა მიმართოს, არამედ მკითხავთან მივიდეს იმის გასარკვევად, ცალმხრივია მისი სიყვარული თუ შეიძლება, რაღაც იმედი ჰქონდეს „ნამეტნავად შეყვარებულს“. თუ ფსიქიატრთან მივა მიღებაზე, შეიძლება, რამე ეშველოს; თუ არა, მაშინ საკუთარი ნებით უნდა ჩაჯდეს ხუტა უფროსის საპყრობილის მესამე ჭურში და უსმინოს ბიძია-ბაბუის, იმავე ქრისტეფორე მგალობლიშვილის ორიგინალურობით გამორჩეულ აკვიატებულ სენტენციებს იმის თაობაზე, რომ „სიგრძე უდრის სიყვარულს!.. სიგანე — რწმენას!“ და, რაც მთავარია, „სიყვარული ვერტიკალურია და თანაც — ბრუნვადი“.

ამავე პათოსით თუ განვაგრძობთ მსჯელობას და ვირწმუნებთ მეცნიერთა დასკვნას, რომ სიყვარულის (არანორმალურობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომია აკვიატებული აზრი, **მაშინ ნატოსკენ სასიყვარულო სწრაფვის, მაპის ან მაპზე უკეთესის მიღების ჩვენი დაუოკებელი სურვილი (აკვიატებული აზრი) ხომ შეიძლება ნიშნავდეს ტვინის აშლილობას?!**

მაშასადამე, შეყვარებული ერთნაირსქესიანებიც ნოშრევან კუჭუხიძის ნეო-ნერვო-კლინიკის პაციენტები ყოფილან.

ხუმრობთ, ბატონო? მე კი ვცდილობ, ვიხუმრო, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მესვეურები სერიოზულად რომ გვიმტკიცებენ სიყვარულის უფაქიზესი გრძნობის სიგიჟესთან იგივეობას, იმას რა ეშველება?!

## ხუმრობენ და გვაბითურებენ

**ამათ მიმდევარ მეცნიერებს, მათ შორის, მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მკვლევარებს, კერძოდ, ხეორხინა მონტემაიორ ფლორესს, მიაჩნიათ, რომ სიყვარული შეიძლება გაგრძელდეს დიდი-დიდი ოთხ წელიწადს და ამას ფიზიოლოგიური მიზეზებით ხსნიან.**

არავითარი სულიერება!

რომელ მაღალ ზნეობრიობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კვალზე ერთნაირსქესიანთა დაქორწინების ლეგალიზაციის შესახებ და სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის განცხადების თანახმად, რომ ამერიკა იზრუნებს მსოფლიოში ლგბტ პირების თანასწორუფლებიანობაზე, ამერიკის ჩრდილოეთმა შტატებმა ახალი წამოწყებით გააოგნეს მსოფლიოს საზოგადოებრიობა: **„ამერიკის ბოისკაუტების“ მოძრაობამ გააუქმა წესი, რომლის თანახმად მამათმავლებს ამ ორგანიზაციის რიგები უნდა დაეტოვებინათ, როგორც კი 18 წელს მიაღწევდნენ**. ამ აკრძალვის გაუქმებას მხარი დაუჭირა ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის 45 წევრმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 12 კაცმა.

სკაუტების მოძრაობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში 1907 წელს დაარსდა, მსოფლიოშია გავრცელებული. იგი მოწოდებულია, იზრუნოს მოზარდების ფიზიკური, სულიერი და გონივრული განვითარებისთვის, რათა ჭაბუკებს შეექმნათ ცხოვრებაში კარიერული წინსვლის სერიოზული საფუძველი. სიტყვა სკაუტი ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც მზვერავი.

კეთილშობილური მისია აკისრია სკაუტობას ან, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კეთილშობილური მისია ჰქონდა დაკისრებული, რადგან რომელ კეთილშობილებასა და ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ახალი თაობის აღზრდა მოწიფულ მამათმავლებს ჩააბარეს?! **„ეს ცვლილება შესაძლებლობას მისცემს სკაუტებსა და მათ მშობლებს, ამოირჩიონ (ბავშვების აღსაზრდელად) ისეთი რაზმები, რომლებიც მათ რწმენასთან იქნება ახლოს, და რაც (ლგბტ-ელებთან ურთიერთობა) ასე სჭირდება თანამედროვე ოჯახებს“,** — გახარებულია სკაუტელთა მოძრაობის პრეზიდენტი, აშშ თავდაცვის ყოფილი მინისტრი რობერტ გეიტსი.

## გიხაროდენ, ამერიკა!

**გიხაროდენ კიდევ იმიტომ, რომ ამერიკელ მოსწავლეებს ჰომოსექსუალიზმის ისტორიის კურსს წაუკითხავენ! სან ფრანცისკოს ხელოვნების სკოლა იქნება აშშ-ის საშუალო განათლების სისტემის პირველი დაწესებულება, სადაც მოსწავლეებს პირველად აზიარებენ სექსუმცირესობათა ისტორიას, საგანს, რომელიც ასე აუცილებელი ყოფილა ბავშვებისთვის ფართო და მრავალმხრივი განათლების მისაღებად.**

„ჩვენ განვიხილავთ, როგორ ცხოვრობდნენ გეები, ლესბოსელები და ტრანსგენდერები“, — კარტს ხსნის სოციოლოგი ლინდსი შლაკსი, რომელიც წაუკითხავს ამ მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის კურსს სანფრანცისკოელ ბავშვებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ლგბტელთა ღვაწლს ლიტერატურის, ხელოვნების, მედიის, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების საქმეში.

უცხოეთის პრესაში ხაზგასმით გამოყოფენ ფაქტს, რომ აღნიშნული ლექციები დამუშავდა უფლებადამცველ კლივ ჯონსის მონაწილეობით.

ამ ხაზგასმაში მთავარი ის კი არ არის, რა ავტორიტეტია კლივ ჯონსი (არის თუ არა ავტორიტეტი), არამედ ის, რომ ლექციების კურსი ადამიანის უფლებათა ქარტის მიხედვითაა შეკოწიწებული.

## ესაა მისი უპირატესობა და მაღალი დანიშნულება!

**შლაკსი მომავალი მოსწავლეების თანასწორუფლებიანობისთვის იბრძვის, რადგან სან ფრანცისკოს ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა 28 პროცენტი მიიჩნევს, რომ არატრადიციული სექსორიენტაციისაა, ან ჯერჯერობით ვერ გაურკვევია, გოგოა თუ ბიჭი. ეს ქალბატონი (ან პირიქით) დაეხმარება, გაარკვიონ, ვინ ვინ არის და დაიცავს მათ უფლებებს. მით უფრო, რომ ქალაქსა და შტატში ამ კუთხით საკმაოდ არეული ვითარება იყო ისტორიულად, ხოლო ჰომოსექსუალური ურთიერთობების რეგისტრაციის პრობლემა დღემდე ვერ მოუწესრიგებიათ. 2004 წელს სან ფრანცისკოს მერად აირჩიეს გევინ ნიუსომი, რომელიც მამათმავლებს, როგორც მოესურვებოდა, ისე აძლევდა ერთნაირსქესიანთა დაქორწინების ცნობას. კალიფორნიაში ამგვარი კავშირები მხოლოდ 2013 წელს გააოფიციალურეს.**

ნიუსომის ნებართვით გაცემული ცნობები შტატის კანონების დარღვევად იქნა მიჩნეული და გააუქმეს. ამას მოჰყვა სასამართლო დავები, რომლებიც მოსარჩელეთა (მამათმავალი წყვილების) გამარჯვებით დამთავრდა.

**აქაურმა სამართალმა პური ჭამა — პურს ნუ დაარქმევთ, ოღონდ.**

## გრანტები ლგბტ პროპაგანდისთვის

**მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, საიდან ფინანსდება ასე გახშირებული მამათმავლური არასამთავრობო ორგანიზაციები სახელწოდებით „იდენტობა“.**

ამ თემას გაკვრით ეხება ბრიტანეთის ცენტრალური გაზეთის — „გარდიანის“ წლევანდელი 16 იანვრის ნომრის წერილი. სტატიაში ნათქვამია, რომ მანჩესტერში გაიხსნა სპეციალური სკოლა ისეთი ბავშვებისთვის, რომლებმაც საკუთარი თავი ჰომოსექსუალებად, ლესბოსელებად, ტრანსგენდერებად ან ბისექსუალებად მიიჩნიეს. გაზეთის აზრით, ბოლო ხანს ბრიტანეთში იზრდება შეშფოთება ლგბტ-მოსწავლეების დისკრიმინაციის შემთხვევების გამო კლასელებისა და მასწავლებლების მხრიდან, რაც დაუშვებელიაო. ამიტომ ქალაქის მერიამ გამოუყო 63 000 გირვანქა სტერლინგი ლგბტ ახალგაზრდული ჩრდილო-დასავლეთის ასოციაციას ახალი ცენტრის დასაარსებლად. ეს ცენტრი მომავალში შეიძლება გადაკეთდეს საერთო-საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებად.

ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა ემილია ლიმ დაადასტურა, რომ მისმა ორგანიზაციამ მართლაც მოიგო მერიის გრანტი აღნიშნული თანხის ოდენობით ახალი საკონსულტაციო-განმანათლებლური ცენტრის დასაფუძნებლად.

ემილია ლიმ ისიც განაცხადა, რომ ცენტრი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში აპირებს მანჩესტერის 10 000 მოსწავლის ჩართვას. ეს პროგრამებია: „ლგბტ ისტორია“ და (მიაქციეთ ყურადღება!) სპეციალური მეცადინეობები ლგბტ თემაზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენის, ბუნებისმეტყველების, ფიზკულტურისა და სხვა გაკვეთილების მსვლელობისას(!).

საბავშვო ცენტრი, რომელიც 12 წელს მიღწეული ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელებისთვის არის განკუთვნილი, მუშაობს კვირაში 2 დღეს — სამშაბათობით (19:30 საათიდან 22:00 საათამდე) და შაბათობით (15:00 საათიდან 19:00 საათამდე). ამ დროს ჰომოსექსუალ ბავშვს შეუძლია, ისაუბროს მისთვის საინტერესო საკითხებზე უფროს და გამოცდილ სპეციალისტთან.

ახალგაზრდული ლგბტ-ცენტრები დღეს მთელ „ცივილიზებულ სამყაროშია“ გახსნილი. საიდუმლო არ არის, რომ ამ ადგილებში გამოცდილი, გახრწნილი ადამიანები პოულობენ ნორჩ პარტნიორებს თავიანთი გაუკუღმართებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

2009 წელს თელ-ავივში ერთ-ერთ ასეთ ცენტრში შევიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი და ავტომატის ჯერით დაცხრილა იქ შეკრებილები; 2 ადამიანი დაიღუპა, 15 — დაიჭრა. ტერორისტმა აღიარა, რომ დანაშაულის მოტივად იქცა ის გარყვნილი ქმედება, რომელიც ხდებოდა ამ ცენტრში და რომელშიც ჩაითრიეს მისი უახლოესი ნათესავი.

## საიდან მოდის ავი ზნე?

**უთუოდ იმ დოქტრინიდან, რომელიც აშშ-მა თავის დროზე საფუძვლად დაუდო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობას. ამ დოქტრინის პრინციპების ეფექტიანობა სუპერსახელმწიფოების დაპირისპირების პერიოდში მოსინჯეს ამერიკელებმა, შემდეგ თანდათან მსოფლიოს „ჯიუტ სახელმწიფოებზე“ გამოსცადეს და ახლა, როგორც ჩანს, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებენ.**

დალესის დოქტრინის სახელით ცნობილი პროგრამის ამოსავალი დებულება ასეთია:

**„ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ოქრო სრულად, მატერიალური სიმძლავრეები და რესურსი, უნდა მივმართოთ ადამიანების გამოსათაყვანებლად და გამოსაყეყეჩებლად. ადამიანის ტვინი, ადამიანის შეგნება ცვლილებისკენ არის მიდრეკილი. რუსეთში ქაოსს რომ დავთესთ, მათ ღირებულებებს შეუმჩ-**

**ნევლად შევცვლით ყალბი ღირებულებებით... ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებსა და მოკავშირეებს თვით რუსეთში...“**

ეს ყველაფერი მიმართული იქნება „დედამიწაზე ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი ხალხის“ – რუსების დასაღუპად, „მისი თვითშეგნების საბოლოოდ ჩასანავლებლად“.

დოქტრინის ავტორი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირის დასამარცხებლად საჭიროა, ადამიანებს თავში ჩაუტენონ **„სექსის, ძალადობის, სადიზმის, ღალატის, ერთი სიტყვით, ყოველგვარი უზნეობის კულტი“**. დღეს მთელი ეს თაიგული თანამემამულეების წინააღმდეგ მიმართა აშშ-ის ლგბტ-ძალადობის მამათმავლურმა პროპაგანდისტულმა მანქანამ.

## რას გადავურჩით...

**გადავურჩით ამ მღვრიე ნაკადის მთელი ძალით შემოტევას, იმ ზნეობრივ გაუპატიურებას, რომელსაც პრეზიდენტყოფილი „პატრიოტთა ბანაკებიდან“ იწყებდა.**

სააკაშვილის ვითომ საღლაბუცო მოწოდება წესიერი ოჯახებიდან ბანაკებში მიყვანილი მოზარდების მიმართ, – ბუჩქებში გადადითო, იყო პირველი ნიშანი, რომელსაც მამათმავლობის დიდი შტორმის მეცხრე ტალღა უნდა მოჰყოლოდა.

წერილის დასაწყისში გაცნობეთ, რომ ამერიკელებმა ბოისკაუტებს მწვრთნელებად მამათმავლები მიუჩინეს. ამერიკის გასახრწნელად.

სააკაშვილისთვის რომ დაევალებინათ იმ ჩვენს „პატრიოტთა ბანაკებში“ იმავეს გაკეთება, უარს ეტყოდა თუ ვერ გაბედავდა?!

დრო არ იყო მაშინ ამის თქმისა და ქმნის. როცა დრო დადგა, უკვე დაგვიანებული იყო: მიშას ფეხი ამოუკვეთეს საქართველოდან.

ძრწოდე, უკრაინავ! რაც საქართველოში ვერ მოახერხა, „ნეჲალეზნაიას“ მოუთავებს და ოდესიდან დაიწყებს.

სააკაშვილის ბუჩქომანიას ჩვენ კი გადავურჩით, მაგრამ (ყურადღება!) ამერიკაში „სხვა რაკურსით“ იბარტყა: 31 ივლისს სააგენტო Metro-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ (ტექსტი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება): „ამერიკის კონექტიკუტის შტატის პოლიციამ დააკავა 81 წლის უოლეს ბერგი იმის გამო, რომ იგი თავის ბაღში ბუჩქთან სექსით იყო დაკავებული“. მოხუცი დააპატიმრეს უხამსი ქმედებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით. შემდეგ 10 ათასი დოლარის გირაოს ფასად გაათავისუფლეს.

აქვე შეკითხვა: მამათმავლობის აქტის აღსრულების დროს თავზე რომ დადგომოდნენ, დააპატიმრებდნენ?!

ამერიკამ რომ გააუქმა წესი, ბოისკაუტების რიგები 18 წელს მიღწეულ მამათმავლებს აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ, ამით ზრდასრულ პედოფილებს ჩააბარა ყმაწვილების ბედ-იღბალი, საშუალება მისცა მცირეწლოვანებზე გავლენის მოხდენის, თავიანთ აზრსა და ცხოვრების წესზე მოქცევის.

აბა, წარმოიდგინეთ, კომუნისტების დროს პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს რომ მიეღო გადაწყვეტილება პიონერთა ბანაკებში მოზრდილი მამათმავლების მიმაგრების შესახებ...

ვერ წარმოიდგენთ!

**აშშ-ის „ცეკამ“ კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, დაადგინა, დააკანონა. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ასეთ დასავლურ ღირებულებებს ვესწრაფვით?!**

ეს შენიშვნა შეიძლება ხანგრძლივი პროპაგანდისტული მსჯელობის საგანი გავხადოთ, მაგრამ ღირს კი?!

ყველაფერი ისედაც ნათელია.

## გარდატეხის მომენტი

**კიდევ ერთი მაგალითი ბრიტანეთიდან, სადაც ცდილობენ, პრაქტიკულად აითვისონ ჰომოსექსუალიზმის მკურნალობის ახალი მეთოდი ელექტროშოკით.**

პრესა ირონიანარევი ტონით იტყობინება, რომ „ბრიტანელმა მეცნიერებმა მსოფლიო გაახარეს ასი წლის წინანდელი მორიგი აღმოჩენით, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალიზმი დაავადებაა“. მაშასადამე, ადამიანის განკურნება ამ სენისგან ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა დაავადებისგან. მედიცინა ვალდებულია, მონახოს განკურნების გზები და საშუალებები.

**„ფსიქოლოგიური დახმარების ერთ-ერთი ცენტრის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს ექიმთა პერსონალის ერთი მეხუთედი დარწმუნებულია, რომ ეს ავადობა იკურნება. უფრო მეტიც, ზოგიერთი ფსიქოლოგი უკვე გამოცდის მეთოდიკას, რომელზეც მსჯელობს ტოლერანტული საზოგადოებაც და მთავრობაც“, – ნათქვამია ერთ საგაზეთო წერილში.**

მაიკლ დევიდსონს ლონდონში იცნობენ, როგორც ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს გეილობის წინააღმდეგ. სამი წლის წინათ მან მამათმავლობის საწინააღმდეგო სარეკლამო კამპანია მოაწყო: რამდენიმე ავტობუსზე განათავსა შესაბამისი შინაარსის პლაკატები. გეებმა, რა თქმა უნდა, ჩამოხიეს, დევიდსონის გვარი კი ლგბტ-თა მტრების სიაში შეიტანეს. მაიკლი ამან არ შეაშინა და შექმნა ახალი ცენტრი მათ დასახმარებლად, ვინც თავისივე სქესის ადამიანებისადმი ამჟღავნებს ლტოლვას.

დევიდსონი დარწმუნებულია, რომ ჰომოსექსუალიზმი იკურნება, რომ ნორმიდან ამ გადახრის მქონე ადამიანების რეკლამირება კი არ არის საჭირო, არამედ ექიმების დახმარებით „ნორმაში დაბრუნება“.

**– პოზიციის შენარჩუნება იოლი არ იყო, – ამბობს მაიკლ დევიდსონი, – მაგრამ ჩემთვის უმთავრესია ოჯახი – ჩემი ცოლი და ჩემი შვილები, მათი მომავალი. სწორედ ისინი დამეხმარნენ მოძალებული პრობლემების გადალახვაში.**

ამ კაცს უნდა უმადლოდეს ათობით ოჯახი გადარჩენას. დევიდსონი მიიჩნევს, რომ გეებად არა მხოლოდ იბადებიან, არამედ ხდებიან კიდეც. მის ცენტრში გზათა გასაყარზე მდგარ კლიენტებს ასწავლიან, როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ მათივე სქესის ადამიანებთან, რათა არ ჩაეშვან გარყვნილების ჭაობში. ექსპერტები მზად არიან, შეათვისებინონ ნორმები, რომლებიც მათ (კლიენტებს, პაციენტებს) აარიდებთ შესაძლო ფლირტს.

ასეთია რეალური ვითარება აღნიშნულ ცენტრში, მაგრამ გაერთიანებული სამეფოს ბევრი მედიკოსი ამ საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ დუმილს ამჯობინებს, არაფერს ამბობს აქ გამოყენებულ ფსიქოლოგიურ მეთოდებზე.

**– ექიმები ძალიან შეშინებულები არიან, ვერ ბედავენ ამ თერაპიის არა მხოლოდ გამოყენებას, არამედ შეთავაზებასაც კი. ასეთი „თვითნებობა“ სამსახურიდან მათი დათხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს.**

თვით პიტერი პენსიაზეა და „თავისუფალი თვალსაზრისის“ გამო ლიცენზიის ჩამორთმევა არ ემუქრება, მაგრამ მისი ახალგაზრდა კოლეგებისთვის სამუშაო ადგილის დაკარგვა სავსებით რეალური პერსპექტივაა, რადგან, როგორც პრესა იუწყება, მთავრობა პრინციპულად სხვა პოზიციაზე დგას.

პოზიციების განსხვავებულობა მართლაც რადიკალურია: თუ ერთი მხარე (პიტერ დევიდსონი) მიიჩნევს, რომ მამათმავლობა იკურნება, მისი მოწინააღმდეგენი ლგბტ-ის მომხრეთა დაჯგუფებიდან და, მათ შორის, მთავრობაც დარწმუნებულია, რომ ფსიქოლოგმა უნდა ასწავლოს ადამიანს, აღიქვას და მიიღოს საკუთარი თავი ისეთად, როგორიც არის და არ იფიქროს მის გარდაქმნაზე, ანუ დარჩეს მამათმავლად; ხოლო მეთოდები, რომლებსაც დევიდსონი გამოიყენებს, საეჭვოა და საშიშიც კი. ელექტროშოკი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიყენება, – აცხადებს აღშფოთებული ფსიქოლოგი, – იწვევს სირცხვილის განცდას და სუიციდისკენ (თვითმკვლელობისკენ) მისწრაფების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.



ამბობს, მაგრამ მაგალითებს ვერ ასახელებს, რადგან ასეთი ფაქტები ბუნებაში არ არსებობს.

**არმაზ სანებლიძე,**
**უცხოური პრესის მასალების მიხედვით**

**P. S. შარშან ფსიქიატრების სამეფო კოლეჯმა ოფიციალურად აღიარა, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია შეიძლება შეიცვალოს. მაშასადამე, ადამიანი შეიძლება არა მხოლოდ გეი (მამათმავალი) გახდეს, არამედ ნორმალურ მდგომარეობასაც დაუბრუნდეს.**

**ა. ს.**

◎ შემოგდებული თემა

# „ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა!“

## ნეტავი თბილისის მერიას პრესსამსახური თუ აქვს?!

**ფეისბუქი დუღს და გადადუღს „შუშის ხიდის“ ბედთან დაკავშირებით ნარმანიას განცხადების გამო...**

**პირველი შთაბეჭდილება: მართლაც, ვერ არის დროული და ბრძნული განცხადება! არც ფორმით, არც შინაარსით და არც დროულობის თვალსაზრისით.**

**პირველი, რამაც ფიქრად გამიელვა, იყო შეკითხვა: რა დროს ეს არის?!.. მეორე: მხოლოდ მტერს შეეძლო ნარმანიასთვის ასეთი საჩუქრის მირთმევა ახლააა!!!**

**სწორედ ახლააა!!!**

**არადა, ვგონებ, მთლად ასეთი, რბილად რომ ვთქვა, „გარეკილი“ არ უნდა იყოს!**

**ჰოდა, გადავამოწმე (რა თქმა უნდა, არა სამედიცინო კუთხით): მართლა თუ თქვა, თანაც როდის, სად და რატომ „წამოაყრანტალა“ ასე?!**

**გადავამოწმე და... უკან მიმაქვს ჩემი არცთუ ტკბილი სიტყვა-შეფასებები!**

**დღესავით ნათელი გახდა: შემოგდებულია ეს თემა... პროფესიულად!.. დროულად – საერთო, მათ შორის ოდესის ფონის გათვალისწინებით, რომ გადაამოწმოთ, თქვენთვისაც ყველაფერი (!!!!) თავის ადგილზე დადგება. ყოველნაირად!**

**თავად განსაჯეთ. აი, საწყისი მასალა:**

## „დავით ნარმანია - „არ ვიცი, შუშის ხიდს რა ვუყო“

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისში არქიტექტურული სახის სიახლეები იგეგმება.

ეს განცხადება თბილისის მერმა საკრებულოში, მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას გააკეთა.

ნარმანიას თქმით, შესაძლოა, უკვე აშენებული პროექტებიც გადაადგილებას დაექვემდებაროს...

**„ის რაც მარტივი გადასატანია, ისეთი როგორიცაა ველოსიპედი, ამას მარტივად მოვუვლით, მაგრამ არ ვიცი, რა ვუყოთ შუშის ხიდს. მე ხიდის დანგრევა შეუძლებლად მიმაჩნია. ამ საკითხზე გადაწყვეტილება საკრებულოსთან ერთად უნდა მივიღოთ. თუ ხიდის გადატანა სხვა ტერიტორიაზე შეუძლებელი იქნება, სამწუხაროდ, დედაქალაქს 9-წლიანი მმართველობიდან კიდევ ერთი დაღი დარჩება“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თარიღს დააკვირდით: 2014 წლის 5 აგვისტო, ანუ, ზუსტად ერთი წლის წინათ!!!!

როგორი დამთხვევაა?

ახლა ის ვნახოთ, თუ **სად განაცხადა ნარმანიამ ეს?** სად და თბილისის საკრებულოს სხდომაზე!

**მიზეზი:** საკრებულოს წარედგინა დედაქალაქის ახალი მთავრობა და სამოქმედო გეგმა.

**ვიხსენებ:** იმ დღეებში ჯერ კიდევ არ იყო „ჩამქრალი“ საარჩევნო ვნებათაღელვა და ერთი „მწვავე“ საკითხი ძეგლების შესაძლო გადატანა და, ეს ე.წ. „შუშის ხიდი“ გახლდათ. **ჰოდა, დაუსვეს კიდეც შეკითხვა ქალაქის თავს: რას უპირებო მაგ ხიდს?**

ადგა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უპასუხა, **არ ვიცი, რა უნდა ვუყოო... თქვენთან ერთად ვიფიქროთ და გადავწყვიტოთო!**

აქ პატარა პაუზა უნდა გავაკეთო და ისიც შეგახსენოთ, რომ ნარმანიას გულწრფელი მოსაზრება მხოლოდ „შუშის ხიდთან“ დაკავშირებით არ გამოუთქვამს... იქ „ველოსიპედზეც“ იყო საუბარი, რესპუბლიკის მოედანს რომ „ამშვენებს“. მაგრამ ამაზე ფეისბუქი დუმს. დუმს იმიტომ, რომ ვინც „შუშის ხიდის“ თემა შემოაგდო, იმან ძალიან კარგად უწყის, რომ „ველოსიპედის“ თემის გარშემო „ქარიშხალს“ ვერ გამოიწვევდა, იმდენად ცალსახაა საზოგადოების დამოკიდებულება ამ „შედევრისადმი“.

### აი, ეს პუბლიკაციაც:

„ნარმანია: „ველოსიპედი, ასეთი უსახური ძეგლი, შესაძლოა დაიდგას სადმე გარეუბანში“

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით კომისია იმუშავებს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს:

„დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო ჩემი პოზიცია ველოსიპედის გადატანასთან დაკავშირებით, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ასეთი უსახური და გაურკვეველი წარმომავლობის ძეგლი, რომელსაც შეიძლება ძეგლი ვერ დავარქვა, სხვაგან დავდგათ. შესაძლებელია, ის დაიდგას სადმე გარეუბანში. მე პირადად, 9-წლიანი მმართველობის სიმბოლოს გადავიტანდი, რომ დამთვალიერებელს ჰქონდეს საშუალება, ნახოს, როგორი მიდგომები იყო ძეგლებთან და ზოგადად, არქიტექტურასთან დაკავშირებით და მას პატარა ისტორიასაც წავაწერდი. სხვა ძეგლებთან დაკავშირებით კომისია იმუშავებს და ამაზე მე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ მივიღებ“, – განაცხადა ნარმანიამ.“ (http://newposts.ge/?l=G&id=46698)

როგორც ხედავთ თარიღი, რა თქმა უნდა, იგივეა, რაც „შუშის ხიდთან“ არის დაკავშირებული – ზუსტად ერთი წლის წინანდელი! მაგრამ, ამაზე არავითარი რეაქცია!!!!

ისე, გულწრფელად რომ ვთქვათ, მეტი, ან უკეთესი, რა უნდა ეთქვა ნარმანიას?.. ან უფრო ზუსტი დრო და ადგილი როგორ შეერჩია?

არ ვარ მე დიდად აღტაცებული ქალაქის მერიის საქმიანობით, არც ნარმანიას „ფანების კლუბს“ მივაკუთვნებ თავს. უფრო მეტიც, ვაკრიტიკებ და კვლავაც გავაკრიტიკებ ქალაქის თავს, საკრებულოს, სხვადასხვა სამსახურებს. ოღონდ, ამ კრიტიკის საფუძველი ღვარძლი, ბოღმა და ნიშნისმოგება კი არ არის და იქნება, არამედ გულშემატკივრობა და ამ ჩვენს მშობლიურ ქალაქში უფრო ორგანიზებული, ლაღი, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და სულიერი სიმშვიდით აღსავსე ცხოვრების სურვილი.

და თუ ამას ნარმანია, მისი გუნდი და დღევანდელი მმართველი პარტია ვერ შეძლებენ, მოვა დრო და საარჩევნო ყუთში მიიღებენ დამსახურებულ საჩუქარს: მათი უარყოფითი საქმიანობის ჩემეული შეფასების დამადასტურებელ „შავ კენჭს“... ეს იქნება ჩემი განაჩენი!

მანამდე კი...

შემეძლო თქმა რასთან(!!!) და ვისთან(!!!) არის დაკავშირებული მორიგი „პიარაქცია“, მაგრამ არა მგონია, ჩვენი საზოგადოება ისეთი მიუხვედრელი იყოს, რომ სჭირდებოდეს იმის ახსნა, თუ საიდან უბერავს ქარი, რომელსაც, უკაცრავად პასუხია და. „პროვოკაციის სურნელი“ დაჰკრავს. **იმათ შორის კი, ვინც ამას ვერ გრძნობს, ვფიქრობ, ერთ-ერთი გამორჩეულია მერიის ის სამსახური, რომელსაც საზოგადოებასთან, მედიასთან ურთიერთობის წარმართვა ევალება.**

ეს მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევას და ამ კონკრეტულ სტრუქტურას არ ეხება... ნებისმიერი თემა, რომელიც ამ ბოლო დროს ვნებათაღელვის საგანია (მაგ., ელექტროენერგიის გადასახადის მატების პრობლემა, საბანკო ზედამხედველობის ორგანოს გადაადგილების, თუნდაც, „სუპერთასის“ ბილეთების განაწილება-გაყიდვის საკითხი და ბევრი სხვ.) არ გამხდარა მოსახლეობისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზეზი.

სამწუხაროდ, უკვე მყარად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის ინფორმირება მთავრობის, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ, არამცთუ არ არის პრიორიტეტული ჩინოვნიკების კორპუსისთვის, არამედ ისიც, რაც კეთდება იმდენად უსუსური, არაპროფესიული და უშედეგოა, რომ უნებლიეთ ჩნდება შეკითხვა: **ეს დაუინტერესებლობა და პრიმიტივიზმი შეგნებულად ხომ არ იკვებება?**

თუ ეს ასე არ არის, მაშინ რადიკალურად გადასახედია არა მარტო პოლიტ და „პიარ“-ტექნოლოგიები, არამედ იმ სტრუქტურების პერსონალი, ვისაც ამ საქმის წარმართვა და განხორციელება ევალება. ჩვენი ზერელე გამოთვლით, „პიარსაქმიანობით“ დედაქალაქისა თუ რესპუბლიკის საჯარო სტრუქტურებში სულ ცოტა 2 ათასი მაღალანაზღაურებადი „სპეციალისტია“ დაკავებული. ვეჭვობ, რომ საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს რამეს მატებდეს მათი „დაუღალავი“ შრომა.

**ნიკა ჭავჭავაძე**

ბრძენკაცთ უბრძანებიათ: სამყარო ღმერთის მიერ იქნა წარმოთქმულიო. გავიხსენოთ იოანეს სახარების დასაწყისი: „პირველითაგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი. ესე იყო პირველთაგან ღმრთისა თანა“...

ახლა „ქართველთა წუთისოფელსაც“ მივუგდოთ ყური. აი, რას ეუბნება ცოტა შექეიფიანებული ქართველი კაცი თანამეინახეს: მოდი, ერთი **სიმღერა ვთქვათო**. თუ სუფრასთან სიჩუმემ დაისადგურა, საყვედურის კილოთი ნათქვამ სიტყვებს ჩართავენ ახალწამოწყებულ სიმღერაში.

**პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ,**
**სიმღერას არ იტყვიანო...**

სიტყვა – სიმღერისა (თქმა – ამღერების) ეს ძველისძველი მტკიცე კავშირი საფიქრალს არ გამოლევს, ძალზე რთულ საკვლევ თემად, ამოუცნობ ფენომენად დარჩება.

სწორედ ამ ფენომენის კვლევას, ქართულ გალობა-სიმღერას, მის პოპულარიზაციას, მსოფლიოში გავრცელებას მიუძღვნა თავისი სიცოცხლე ანზორ ერქომაიშვილმა.

ჩვენ იმ მოდგმის ხალხი ვართ, რომელსაც სიმღერა გვზრდის;

**მზისა და ვაზის ენერგიით გვავსებს;**
**სიმღერა წუთისოფელს გვილამაზებს,**
**სულეთისკენ მიმავალთ დაგვემგზავრება,**
**სიმღერა გვაყვარებს, გვამაღლებს, გვაძლიერებს.**
**სიმღერა ქართველი კაცის სულის ჩუქურთმაა.**

სიმღერა თავის თავში იტევს ყველაფერს: ადამიანურ ღირსებას, ვაჟკაცობას, მეგობრობასა და სიყვარულს, ქალისადმი განსაკუთრებულ, ფაქიზ დამოკიდებულებას. ქართული სიმღერა-საგალობლის მოსმენისას ვივსებით რწმენით, ვივსებით სიტყვის, ლექსის, სამშობლოს სიყვარულით.

**...უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა, მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს, სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს, ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში, რა ტკბილია ქართულ სიყვარულის შიში, როცა ღამისმთეველებს ლხინი გაუმართავთ და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან... საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!**

ლადო ასათიანის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართველთა ტომის მიერ დღემდე საოცარი ხმით **„მისიმღერებული“** ქვეყანა არ მოკვდება



და ხალხი არ გადაშენდება, დიდი ილიას სწორუპოვარი შეგონება – მამული, ენა, სარწმუნოება – ჩვენი სულიერი სიმტკიცის საფუძველთა საფუძველი იქნება მუდამ...

**ხალხური სიმღერის, საგალობლის გარეშე, ქართველებს ვერც მამული გვექნებოდა ასე საფიცარი, ვერც დედაენა – ყოვლის გამომხატველი, ვეღარც ჩვენი რწმენა – მაცხოვრის მადიდებელი.**

სრულიად ბუნებრივად მეჩვენება, რომ სიყვარულისა და მეგობრობის „ქართული ბიბლიის“ – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა, მზისა და მთვარის მსგავს, მაღალი ზნეობით დამშვენებულ ავთანდილს სულიერ სიმაღლესთან ერთად სიმღერის გასაოცარი ნიჭი მისცა.

**„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი**
**მოვიდიან,**
**მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,**
**ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდეს, ატირდიან,**
**იმღერს ლექსთა საბრალოთა,**
**ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.**

სიმღერა ყოველგვარ ტკივილს გვიამებს, უფალთან გვაახლოებს და სიკვდილსაც გვიადვილებს... ამიტომაც ქართველისთვის სიმღერა-გალობა მთელი ერის ისტორია, წარსული და დღევანდელობაა...

* * *

**„ჩუმად, ვიღაც მღერის მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში, არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“,** – გულისყურით უსმენდა დიდი გალაკტიონი გურიის მთებში ჩახვეულ „კრიმანჭულს“... მოდით, ჩვენც კიდევ ერთხელ მივუგდოთ ყური გამორჩეულ გურულს, დიდ ეროვნულ მოღვაწეს ანზორ ერქომაიშვილს...

**სპარტაკ ქოზულია**

## ანზორ ერქომაიშვილი

# მამაპაპური კულტურა – გზა სინათლისკენ

ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში მუსიკალურ ფოლკლორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიც აღიბეჭდა ქართული ხალხური სიმღერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი.

ჩვენში ოდითგანვე მოღვაწეობდნენ უნიჭიერესი მგალობელ-მომღერლები, რომლებიც სათუთად ინახავდნენ, ქმნიდნენ და ავითარებდნენ მუსიკალური ფოლკლორის იშვიათ ნიმუშებს და თაობებს გადასცემდნენ ზეპირი სახით. ცალკე განხილვის საგანია ქართული საეკლესიო საგალობელი, რომელიც ქართული მუსიკალური კულტურის იშვიათი მონაპოვარია. საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდნენ სამგალობლო სკოლებში აღზრდილი მგალობლები და ეს სკოლები მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ფუნქციონირებდა.

სიმღერა-საგალობელი ქართველი კაცის მუდმივი თანამგზავრი იყო. მან დიდად შეუწყო ხელი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და ხალხის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას.

მოგეხსენებათ, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს თავს ესხმოდნენ უცხოელი დამპყრობლები, რომლებიც ანადგურებდნენ კულტურულ ძეგლებს, არბევდნენ, წვავდნენ, ჩეხავდნენ ვენახებს. მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა სარწმუნოება, ენა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება და სასიმღერო კულტურა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენასა და სულიერების შენარჩუნებაში.

ასეთი ტრადიციების მქონე სიმღერა-გალობის ქვეყანაში ამ ბოლო პერიოდში სიმღერა თანდათან სცილდება ფესვებს, რომლებთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საუკუნეების განმავლობაში. წავიდნენ უკანასკნელი წარმომადგენლები ძველი სამგალობლო და სასიმღერო სკოლებისა, სოფლებში ხალხური სიმღერა-გალობის მცოდნე კაცი თითებზე ჩამოსათვლელი დარჩა; იქმნება საშიშროება, რომ ხალხურ სიმღერას გადაგვარების საფრთხე დაემუქრა და იგი უსულგულო სამუზეუმო ექსპონატად იქცევა.

თუ ხალხური სიმღერა წინათ სოფლებიდან მოდიოდა, ახლა თითქმის შეწყდა რაიონებსა და სოფლებში მუზიცირების საუკეთესო ტრადიცია. ხალხურმა სიმღერამ სოფლიდან ქალაქში, კერძოდ, დედაქალაქში გადაინაცვლა, რაც სწორად არ მიგვაჩნია – სიმღერა სოფელს უნდა დაუბრუნდეს. თავისთავად ცუდი ფაქტია, როცა ქვეყნის მოსახლეობის 1/3 ნაწილი მარტო დედაქალაქში ცხოვრობს, ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი საუკეთესო ტრადიციების მოშლას, მაგრამ ეს კიდევ სხვა პრობლემაა. დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა, მისი სულიერების ამაღლება.

სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდობის სულიერ აღზრდაზე ვიზრუნოთ, ხშირ შემთხვევაში მათ ცუდ მაგალითს ვაძლევთ. ისინი ხედავენ მრავალნაირ უხამსობას, რაც, საუბედუროდ, უფროსებიდან მოდის. ტელეეკრანებიდან იმძლავრა უცოდინრობამ, უგემოვნობამ, უხამსობამ, აღვირახსნილობამ.

მაღალი რანგის ჩინოსნები, რომლებიც სანიმუშონი უნდა იყვნენ ახალგაზრდებისათვის, თავს იკავებენ, ერთმანეთს საჯაროდ აყენებენ შეურაცხყოფას. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მათ უკან მომავალი თაობა დგას, რომელიც მაგალითს უფროსი თაობიდან იღებს. გარდა ამისა, ხდება ფასეულობათა გადაფასება, დაეცა საშემსრულებლო დონე, იმძლავრა პროვინციალიზმმა. არაპროფესიონალებმა დაიპყრეს საკონცერტო დარბაზები და ტელეეკრანები, საინფორმაციო საშუალებები უზარმაზარ რეკლამებს უკეთებენ მათ, გახშირდა სიტყვები „ვარსკვლავი“ და „გენიოსი“. მოკლედ, საქართველოში „ვარსკვლავთცვენაა“. ჩემი აზრით, **თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა, მაგრამ თუ დაიჯერე – უბედურებაა**.

ე. წ. „თინეიჯერებსაც“ იმავე ეპითეტებით ამკობენ; სხვათა შორის, ამით **შეცდომას კი არა, დანაშაულს სჩადიან**. სხვათა შორის, რაც ხდება დღეს ქართულ მუსიკაში, ჩვენი საზოგადოების ადეკვატურია.

საქართველო არაერთხელ აღგავეს პირისაგან მიწისა, მაგრამ ქართული სული ვერ მოკლეს და ვერც დაიპყრეს. ჩემი აზრით, ფიზიკური დაპყრობა ქვეყნის დაპყრობას არ ნიშნავს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დანგრეული ეკონომიკის აღდგენა შეიძლება, მაგრამ, თუ შენი სული დაიპყრეს, მისი აღდგენა შეუძლებელია. აი, რას ჰქვია ნამდვილი დაპყრობა.

ამჟამად ჩვენი ქვეყანა სწორედ ასეთი საშიშროების წინაშე დგას. უცხოეთის აქტიური ჩარევით ინგრევა ჩვენი სულიერება, რაც ქვეყნის მაღალი კულტურისა და საუკეთესო ტრადიციების განმსაზღვრელია. მოდით, სანამ გვიანი არ არის, შემოვკრათ ზარებს, მოვუხმოთ ყველას, რომ საქართველოს საზღვრებზე დადგნენ ერთგულ ჯარისკაცებად და არ შემოუშვან ათასი ჯურის ეშმაკის მსახურნი, რომლებიც ასე მომრავლდნენ საქართველოში. ასევე დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ეშმაკისეული მუსიკისაგან, რომელიც წალეკვას უქადის ჩვენს სულიერებას. გადამთიელთა ჯარი იმდენ ზიანს ვერ მოგვაყენებს, რამდენსაც სულიერების გადამთიელი მტრები მოგვიტანენ.



მასწავლებლის ნათელი მოსწავლეს უკუნეთ ღამესაც გაუნათებს.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს; თუ მოვახერხეთ და ისინი ავამღერეთ, მაშინ ჩვენს სიმღერებს და, მასთან ერთად, საქართველოს, გადაშენება არ უწერია.

# სიმღერა სიყვარულივით უკვდავია

...და ეს ყველაფერი იმ დროს ხდება, როცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდები დიდი ინტერესით სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერას და პოპულარიზაციას უწევენ მას მთელ მსოფლიოში. სამაგალითოდ გამოდგება კარგად ცნობილი ამერიკელი მომღერალი კარლ ლინიქი, რომელიც საქართველოში სიმღერის სიყვარულმა ჩამოიყვანა და ასეთი სიტყვები ათქმევინა: „როცა ვუსმენ, რომ თქვენი ახალგაზრდები ამერიკულ სიმღერებს მღერიან და ამერიკელებს ბაძავენ, მინდა ხმამაღლა ვიყვირო: ხალხო, რას სჩადით, თქვენ ცდებით, ქართულ სიმღერაზე უკეთესი მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება და ერთი ძირძველი ანდაზისა არ იყოს, ისე არ მოგივიდეთ, თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდა“.

ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ საქართველოში სულიერებისა და ზნეობის ამაღლებისთვის. ამაში დიდად დაგვეხმარება სიმღერა-საგალობლების აღდგენა და პოპულარიზაცია, რადგან არაფერი ინახავს ისე მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა-გალობა. საჭიროა მომავალ თაობას ჩავუნერგოთ სიყვარული სიმღერისადმი. სიმღერა მარადიულია, თუ იგი თაობებს მოჰყვება და კვდება, როცა მას ახალგაზრდობა ივიწყებს.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს; თუ მოვახერხეთ და ისინი ავამღერეთ, მაშინ ჩვენს სიმღერებს და, მასთან ერთად, საქართველოს, გადაშენება არ უწერია.

ქართულ სიმღერას ერთი საოცარი თვისება აქვს — იგი ამეგობრებს და აყვარებს ხალხს ერთმანეთს. **თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს, ისე სიმღერა არ გამოგივა.** ურთიერთსიყვარული კარგი სიმღერის გარანტიაა. სიმღერა მაშინაა ლამაზი, როცა მას სიყვარულით მღერიან.

იქნება მარტოობას გაურბოდა ქართველი კაცი, როცა მრავალხმიანი სიმღერა შექმნა, რადგან ქართული სიმღერა შემსრულებლებისაგან ერთად ყოფნასა და ერთგულებას მოითხოვს; თუ პარტნიორს არ დაეყრდნობით, ისე კარგად ვერ იმღერებთ. ღალატი გამორიცხულია, რადგან პარტნიორმა თუ გიღალატა, მაშინ მან თავის თავს უნდა უღალატოს.

მომღერლებს კეთილ ხალხს ეძახიან. კარგი მომღერალი არასოდეს ულირს საქციელს არ ჩაიდენს, რადგან სიმღერა თავისთავად სიკეთის ქმნაა, სიმღერა სიყვარულივით უკვდავია. ამიტომ გავუფრთხილდეთ სიმღერას და ვასწავლოთ იგი ახალგაზრდებს. სიმღერა ხომ ერის ისტორიული ანარეკლია. გავიხსენოთ ბატონი ირაკლი აბაშიძე:

**„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,**
**ეს სიმღერები მაღალ მთებს გვანან,**
**ჩვენი სიმღერები პირამიდებია,**
**მათ უკან საუკუნეები დგანან“.**

ახალგაზრდებს უნდა ჩავუნერგოთ პატივისცემა ერის წარსულისა და წინაპრების, მასწავლებლის მიმართ, მათი სახე გულში ხატივით უნდა ატარონ, ვინაიდან ადამიანს მასწავლებელზე დიდი მოკეთე არა ჰყავს და ის, ვინც მასწავლებლის სიკეთეს დაივიწყებს, ბოროტების ტოლფას დანაშაულს სჩადის. მასწავლებელი თვითონ სიკეთეა, მისი ამაგი აუწონელია, როგორც თვითონ სიკეთე. მე პირადად მასწავლებლად მიმაჩნია ყველა, რომელთა მოძღვრებაში თაობები იზრდებიან საუკუნეების განმავლობაში. მასწავლებელი თავისი აღზრდილებით ფასობს, მისი სახელი შეიძლება საუკუნეებმა წაშალოს, მაგრამ მისგან მოტანილ სიკეთეს ვერაფერი წაშლის. მასწავლებლის ნათელი მოსწავლეს უკუნეთ ღამესაც გაუნათებს.

ახალგაზრების ვალია მოიგონონ თავიანთი წინაპრები და მასწავლებლები. მოგონებით შეიძლება კაცის სახელი მარადიული გავხადოთ.

მე ისევ იმ აზრზე ვარ, რომ თუ გინდა სიმღერა გადაარჩინო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება, ამით ტრადიციებიც გადარჩება და ესაა სწორედ სიმღერის უკვდავება.

ძველად საქართველოში ბავშვები ოჯახებში სწავლობდნენ სიმღერას მშობლიურ ენასთან ერთად, სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი სახით. ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენა-აღორძინების საქმეში სწორედ ოჯახური მუზიცირების არაჩვეულებრივმა ტრადიციამ შეასრულა უდიდესი როლი. სამწუხაროდ, დღეს ეს წესი თითქმის მოიშალა და, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ბავშვი ყველაფერს ისმენს ხალხური სიმღერის გარდა.

დღეს ბავშვები საბავშვო ბაღიდანვე სწავლობენ უცხო ენებს უცხოურ მუსიკასთან ერთად, ახალგაზრდობამ დაივიწყა საუკეთესო მამაპაპური ტრადიცია და მდარე ხარისხის მუსიკასთან ერთად ხარბად დაეწაფა იმ მანკიერ ჩვევებს, რომელმაც წარყვნა მრავალი ქვეყანა; ამიტომაც გავრცელდა ჩვენში ათასნაირი უბედურება — ნარკომანია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადახრები.

**საქართველო არაერთხელ აღგავეს პირისაგან მიწისა, მაგრამ ქართული სული ვერ მოკლეს და ვერც დაიპყრეს. ჩემი აზრით, ფიზიკური დაპყრობა ქვეყნის დაპყრობას არ ნიშნავს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დანგრეული ეკონომიკის აღდგენა შეიძლება, მაგრამ, თუ შენი სული დაიპყრეს, მისი აღდგენა შეუძლებელია. აი, რას ჰქვია ნამდვილი დაპყრობა.**

ქართველი ბავშვებისეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში ქართული ხალხური სიმღერა დაგვეხმარება — სიმღერა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოეზიასთან, ქართულ ყოფასთან, შესრულების წესთან და, საერთოდ, ჩვენს საუკეთესო ტრადიციებთან, რომელიც ასე განასხვავებს ქართველ კაცს სხვებისგან... და თუ ეს ყველაფერი დავკარგეთ, მერე ვიღას უნდა ამნაირი საქართველო.

**ქართველებს ცოტა რამ გაგვაჩნია ისეთი, რაც მსოფლიოში ყველაზე უკეთ წარმოგვაჩენს. მათ შორის არის სიმღერა და ცეკვა.**

მაშინ, როცა უცხოელები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ხელოვნების მიმართ, როცა იუნესკო აღიარებს ქართულ სიმღერას მსოფლიო პოლიფონიის შედევრად, როცა ჩვენი „ჩაკრულო“ უკვე გასცდა მზის სისტემას და გალაქტიკაში მიიკვლევს გზას, ცოტა უხერხული ხომ არაა, „ჩაკრულოსა“ და ცეკვა „ქართულის“ პატრონი ახალგაზრდობა მდარე ხარისხის მუსიკასა და ტანის ვულგარულ მიხვრა-მოხვრაზე აგებულ ცეკვას ამჯობინებდეს.

მე წინააღმდეგი კი არა ვარ უცხოური მუსიკისა და ენების შესწავლისა, ოღონდ ბავშვი ჯერ მშობლიურს უნდა ეზიაროს, რადგანაც ერი საკუთარი კულტურით ფასდება და არა სხვა ქვეყნებიდან გადმოტანილი დამახინჯებული ხელოვნებით.

მომავალი თაობა ისე უნდა აღვზარდოთ, რომ არც საკუთარი თავის შერცხვეთ და არც ჩვენი საფლავები გაუხდეთ სალანძღავი, ბავშვს საითაც წარმართავ, იქით წავა, ჩვენ ისინი სინათლისკენ უნდა წავიყვანოთ. ●

* * *

**ასე უბრალოდ, შესანატრი მონდომებით, პიროვნული ხიბლით და გამოცდილებით მიჰყავს სინათლისკენ ანზორ ერქომაიშვილს დღევანდელი საქართველოს მომავალი თაობა. მის მიერ გზაგაწალდულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, განსაკუთრებით ვაჟებს, ვერ ჩამოთვლი. ისინი მრავალნი არიან...**

**ხშირად უსმინეთ და უცქირეთ ანზორ ერქომაიშვილის მიერ შექმნილ ანსამბლებს „მართვეს“ და „რუსთავს“, ხშირად წაიკითხეთ მისი შესანიშნავი წიგნები „ხმა უცნაური“, „გზები, ადამიანები, სიმღერები“ და გული მზითა და იმედით აივსეთ. ანზორ ერქომაიშვილი არის ქართველი ახალგაზრდობის სულიერი და ზნეობრივი წრთობის კაცი-მაგალითი.**

**10 აგვისტოს თანამედროვე ქართველ მამულიშვილთა შორის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოღვაწეს, ყველაზე თავმდაბალ და კეთილშობილ მაესტროს, საქართველოს სახალხო არტისტს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ერქომაიშვილების მომღერალთა დინასტიის ნამდვილ ლეგენდას 75 წელი უსრულდება. გილოცავთ, ბატონო ანზორ!**

**ს. ქ.**



პოეზია

## დილარ ივარდავა

# ახალი რვეულიდან

## ისევ შენ მშველი

გულდაჯერებით ბუდე ვაშენეთ,
ჭეშმარიტებას გვერდს ვერ ავუვლით;
ვიტყვი კოლხურად:
– ვარდო ვაშინერს,
რწმენა უარვყოთ ქრისტიანული!
ნულიდან ვიწყებთ ნაბიჯთა ათვლას,
ხშირად გვთვალავდა ეშმათ არული,
ვერ დავემალეთ ამ ქვეყნად ავთვალთ,
მაგრამ განვაგრძეთ წინ სიარული.
არ დაჰკლებია ძმას თუ ამხანაგს
ჩვენი ალალი გულზიარება,
თუმცა სუფევდა მახსოვს იმ ხანად
ცბიერთა შუმი აგრიალება!
ასეა! თურმე ვითომ ჭკვიანი
გაჩენის დღიდან სხვას ემტერება,
სწორედ ამიტომ ადამიანი
ქამელეონის ღებეს ფერებმა!
უცბად სიცოცხლის ჩამოტყდა ხიდი,
ტანაქაფებულ მდინარეს ვებრძვი,
მახსოვს უძლეველ დევგმირად მხდიდი,
მორევის მომრევ არსებად მთვლიდი.
ახლა რაც არის – ჰქვია ნაცარი –
არ ჰყავს სიყვარულს მფარველი ღმერთი!

რუხის ჩქერებში ცისარტყელობდნენ
ვერცხლის თევზები!
სულში გაფოთვლა აქ ვიგრძენი
ველური ვაზის!
მედეას ოხვრას მახვედრებდნენ
პონტოს ტალღები
და ელინები ლეგენდებში
ახვევდნენ ფაზისს,
ცოდნის მამები
იმ დროინდელ ფანჯრებს აღებდნენ.
დღეს მიჩვენებენ
უძველესი ტომის განვლილ გზას –
მოზარნიშებულს
ოქროსი და ვერცხლის სევადით,
სვეტო ლოგოსის
ერთმანეთთან ვრჩებით ბარი-ბარს
ლეგენდები კვლავ გვახელებენ
დღესაც ყელამდის!

* * *

ბავშვები ბუდიდან გადმოვარდნილ
მკვდარ ბარტყს ასაფლავებდნენ,
თან გულგახეთქვამდე მოსთქვამდნენ;
– არ გადავშენებულვართ-მეთქი,
გავიფიქრე და ზეცისკენ აღმავალ
უთვალავსაფეხურებიან ჰაერის კიბეს
ფრინველივით მსუბუქად ავუყევი!

## ზმანება გორდში

კორნელი კინწურაშვილს

ხონიდან გორდამდე ხატულა გზაა,
ჯერ არ მიხილავს მსგავსი რამ არსად;
ჩემი სამშობლოს ჩუქურთმა სხვაა,
სულ აზარნიშებს კავკასის ფასადს.
ასხის მთებიდან ვეება ჩრდილი
არამხუტუსი – დაეცა გორდზე;
ამ უთენია ჟუჟრიან დილით
დადიანების სახელს ვაზოდებ!
ნიავს ხმა მოაქვს –
უხმობს კატინას
ნარიყალიდან ყარიბი ტატო,
პოეტს კატინამ გული ატკინა
და ცრემლი წვეთავს ზეცის ლურჯ ტატნობს!
ციდან მომწყდარი ბედის ვარსკვლავი
ფშხვენით ჩაეშვა ლებარდეს ხრამებს, –
ჰანგო კოლხურო, ხარ გულსაკლავი,
იმ სიყვარულზე გვიმღერე რამე!
ვინ გაარკვიოს ცხოვრება კაცის,
ასე იყო და...
იქნება ასე!
თუ შეგეყარა უჟმური მკაცრი
საწყაულივით პირთამდე გავსებს
დავშტერებივარ ცხენისწყლის ცრემლებს,
მაკრთობს ტატოს ხმა:
– სად ხარ კატინა?! –
ამაოდ ეძებს ამ გორდში მშველელს,
რადგან მაცილმა იგი გასწირა!
...ხონიდან გორდამდე ხატულა გზაა!..

## ფაზისთან თქმული

ატმის რტოებზე დაკიდულა
გრდღვიალა ცეცხლი,
აპრილის ხეებს
ფუტკრის ჯარი ვინ შეუსია?!
გაჩენის დღიდან ვერ დაითვლი
იმდენჯერ შევცდი,
არავინ უწყის რას აკეთებს
ჩვენი მესია!
ამ გაზაფხულის კარიბჭესთან
მხცოვანი ვდგავარ
და არ კი მახსოვს
სიყარიბე როდიდან მერგო,
თუ ვარ ცოცხალი
მასულდგმულებს კოლხური ჰავა,
კოინდრიანი ეზოების
დასავლის ენდრო!
ჩახრიალების მუსიკის ხმამ
მალოცა ერთ დროს,
წინაპართ ჩემის ნაკვალევზე
ოქროს ვეძებდი,
ამიტალახეს მნახველებმა
წირთხლი და ერდო,

## გიხმობ, გეძახი

ცირას

უშენოდ თითქმის არ მიცხოვრია
და არც მერმისი მინდა უშენოდ, –
ჩვენი გრძნობების პრეისტორია
შთამომავლობას შუქად ვუჩვენოთ!
გვქონდა წამიერ მდურვის წუთებიც,
ავთვალთ და მაცილთ რომ ახარებდა,
კაეშანს ზოგჯერ ღამეს ვუთევდით
და... არც გაგება დაახანებდა.
ბოლო ხომ მუდამ იყო კეთილი,
ხინჯი არ სდევდა ჩვენს დამდურებას,
დღეს გული შუა მაქვს გაკვეთილი,
დასჯილი ვყევარ ღმერთს და ბუნებას!
გიხმობ, გეძახი, მაგრამ ამაოდ,
ფუჭად მთავრდება ზოგჯერ ზღაპარი,
შთენილი კენტად ხრამზე ვქანაობ,
რომ მალე გავხდე ტრფობის ნაცარი!

* * *

ტირის სატურნი...
ვემშვიდობები სამარადჟამოდ
ბავშვობას ჩემსას!
ტირის სატურნი...
ბალღობას ჩემსას ისევ მახსენებს;
ო, ეს სატურნი?!
ჩემი კაცობის საყრდენად ვსახე!

## უშენოდ დავრჩი და...

ნუ იტყვით:
– დრო არის მკურნალი!
უშენოდ დავრჩი მწყურვალი;
კუტკალიების კრუალი –
მაცნეა ჩემი გზის – უვალის!
სად ხარ?
დაგეძებ ხრამებში,
ვერ ვიგნებ ბილიკებს ღამეში, –
არ უნდა,
არ უნდა გამეშვი –
ზმუილი მომყვება კამეჩის!
უშენოდ დავრჩი და...
ვარ ლეში,
ოდესღაც სალი კლდით ნალესი;
ხმა შენი ალერსის არ მესმის
და მკლავს უსისხლობა
ამ ლექსის!





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №241

# „სისხლმა დაგაბრუნა, ბაბუ!“...

## დმანისის თეატრი დიდ გზას აგრძელებს

ის ფაქტი, რომ დმანისში აღსდგა ზინა კვერენჩხილაძის სახელობის თეატრი, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ის გარემოებაც, რომ ჩვენმა დიდებულმა მსახიობმა, ქალბატონმა ზინა კვერენჩხილაძემ, სწორედ იმ რაიონში დააარსა თეატრი, სადაც ქართული სიტყვა ყოველთვის უნდა ისმოდეს, რა თქმა უნდა, ისტორიული ფაქტია. ეს თეატრი ქართული კულტურის კერად უნდა გახდეს, აქ ახალგაზრდობა უნდა მოვიდეს, ეს თეატრი ქართული პატრიოტული სულის სამჭედლოდ უნდა იქცეს... ანუ თეატრმა თავისი დანიშნულება უნდა შეასრულოს! ეროვნულ მუხტს ისიც ამძაფრებს, რომ კულტურის სახლის დარბაზში გამოფენილია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ისტორიული ნივთები. მათ შორის – პირველ ევროპელთა მზიასა და ზეზვას გამოსახულებები. გაიწმინდა და თავის პირველსახეს დაუბრუნდა დმანისის სიონის მიმდებარე ტერიტორია. ამ არქეოლოგიური მონაპოვრის დიდი მოამაგე და ხელმძღვანელი, ბატონი **ჯუმბერ კოპალიანი** თეატრის დირექტორიც გახლავთ. სასიხარულოა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი, ნიჭიერი მსახიობი **კოტე მჟავია**, რომელიც არ შეუშინდა რთულ შემოქმედებით პირობებს, შეკრიბა თანამოაზრეთა გუნდი და მცირე მატერიალური სახსრებით მოამზადა სპექტაკლი, რომელიც ფოთის საერთაშორისო რეგიონულ პირველ ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა და მაყურებლის გამორჩეული მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

საინტერესოა ისიც, რომ ვიხილეთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების „სისხლისა“ და „ძაღლის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი. ეს გახლავთ არა კომედიური ჟანრის, არამედ პატრიოტული ჟღერადობის სპექტაკლი, რეჟისორმა **გეგა ქურციკიძემ** ამ ორი დამოუკიდებელი ნოველისგან მთლიანი სიუჟეტი შექმნა. მოგეხსენებათ, „სისხლი“ ორი ეპიზოდისგან შედგება, როდესაც ბაბუა სპირიდონს ბებია იულიასგან ნოდარა გურიაში მიჰყავს და როდესაც იულია უკან, ხონში, აბრუნებს შვილიშვილს. მათ შორის გურიაში ცხოვრების ამბავს „ძაღლის“ სიუჟეტი აგრძელებს, რაც ორგანული აღმოჩნდა სპექტაკლისთვის. რეჟისორული კონცეფციით სპექტაკლი მოუწოდებს მაყურებელს პატრიოტიზმისკენ, ადამიანმა არ უნდა დაკარგოს თავისი მამული, შეინარჩუნოს წინაპართა ტრადიციები, არ უღალატოს „სისხლის ყივილს“, არ ჩააქროს ის ფუძე, სადაც გაიზარდა და მომავალ თაობებს გადასცეს კერიის – (სამშობლოს) დიდი სიყვარული. სპექტაკლი, მხატვრული ღირებულების გარდა, ეროვნულ ჟღერადობასაც იძენს, ვინაიდან **დმანისის რაიონში ქართული მოსახლეობა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს და, ამ მხრივ, მშობლიურ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.**

მოქმედება იწყება ამ შემთხვევაში სპექტაკლის წამყვანის – კოტე მჟავიას გამოსვლით, რომელიც სიყვარულითა და ნოსტალგიური განწყობით შეავლებს ღობეს ხელს, შეათვალიერებს ბავშვობაში გატარებულ გარემოს, ზურგჩანთას მოიხსნის და, სცენის კუთხეში დადგომის შემდეგ, სიყრმის მოგონებები შეახსენებენ თავს. იგი წამყვანისა და ავტორის ფუნქციას ითავსებს და მაყურებელი წარმოსახვის სამყაროში შეჰყავს, სადაც ხან მოქმედ პირად, ხანაც მოვლენების ემოციურ შემფასებლად გევლინება. მასში აირეკლება ბავშვობისდროინდელი წლების განუმეორებელი ხიბლი, ადგილის დედის დიდი სიყვარული, რომლის მონატრებამაც იგი მშობლიურ კუთხეში ჩამოიყვანა. მართალია, მისი წინაპრები ფიზიკურად აღარ არიან, მაგრამ, ქვად, ხედ, ცად, მიწად ქცეულნი, თან სდევენ. ამ ემოციის გამოხატვას ცდილობს მსახიობი მოქმედების მსვლელობისას და მაყურებლისთვის სათქმელ აზრს ნათლად გამოხატავს. ამიტომაც ფინალში თოფს კედელზე კიდებს, მონგრეულ ღობეს ასწორებს და სოფელში რჩება წინაპართა საქმის გასაგრძელებლად... არის სცენები, სადაც წამყვანი სცენებს შორის სიუჟეტს ყვება სიტუაციების ასახსნელად. ალბათ აჯობებდა ეს თხრობა გათამაშებული ყო, რაც მოქმედებას უფრო ქმედითს გახდიდა.

აღსანიშნავია **მაია სხირტლაძის** სცენოგრაფია, სადაც რამდენიმე შტრიხითაა მოცემული გურული სოფლისთვის დამახასიათებელი გარემო. გმირებისთვის შერჩეული კოსტიუმებიც თავისებურ კოლორიტს მატებს მოქმედებას.

სპექტაკლს თავისებურ და განსაკუთრებულ ხიბლს სძენს, ცნობილი მსახიობის **ზურაბ ცინცქილაძის** მიერ განსახიერებული ბაბუა სპირიდონის სახე. მართალია, მას ჯერ ბაბუას როლი არ უთამაშია, მაგრამ ბავშვობაში გურიაში გატარებულმა წლებმა, მის გმირს გურული კოლორიტი და იუმორის გრძნობა შესძინა. ამას დაემატა მსახიობის დრამატული განცდა, სამსახიობო ოსტატობა და პოპულარობა, რამაც სხვებთან ერთად სპექტაკლის წარმატება განაპირობა. ამიტომაც, სპექტაკლის შემდეგ ემოციას ვერ მალავდა: **„ჩემი მეგობრების დამოკიდებულებამ გადაწყვიტა ჩვენი ერთად შეკრება და ვისურვე მათთან ერთად მონაწილეობა. ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ ამ სტრატეგიულ რეგიონში ეროვნული სპექტაკლის განხორციელება ერთობ საშური საქმეა. ხმას ვერ ამოვიღებდი ეროვნებაზე, პატრიოტიზმზე, სამშობლოს სიყვარულზე, ამ პროექტში მონაწილეობა რომ არ მიმეღო“.**

მოქმედება სპირიდონისა და იულიას დიალოგით იწყება. მსახიობ ზ. ცინცქილაძის ბაბუა გაკვირვებულია, ბებია ისე აღწერს ბიჭის ცელქობას, რომელიც უხმოდ დგას. ამავე დროს, გულიც შესტკივა იმაზე, რომ ბიჭისთვის იგი უცხოა და ფიქრობს, როგორ დაიახლოვოს პირველად ნანახი შვილიშვილი. სპირიდონი გრძნობს ბავშვის სამყაროს და ცდილობს, თბილი დამოკიდებულება აგრძნობინოს. ზ. ცინცქილაძის გმირის ოცნება ახდა, როცა იულიამ შემოუთვალა ბავშვი წაიყვანეო. იგი გახარებულია და უნდა ბიჭი გურიაში მალე წაიყვანოს. ამიტომაც მისი მუქარა, რომ ბავშვს „ჭლიკით დაკიდებს და ოთხში ამოიღებს“ სიყვარულით, ყოველგვარი მკაცრი განზრახვის გარეშეა ნათქვამი. ეს მუქარა იულიასთვის გასაგონია მხოლოდ, ბებიას დაანახვოს რომ შეძლებს ნოდარას გამოსწორებას. გზაში სპირიდონის დამოკიდებულება იცვლება. იგი ცდილობს, ბიჭში პიროვნული საწყისი წარმოაჩინოს და ცხოვრებისეულ საკითხებზე ფიქრს შეაჩვიოს. მისთვის შვილიშვილი გვარის გაგრძელების ერთადერთი საშუალებაა და უფრთხილდება მას. თანდათან ისინი ერთი თვალთახედვით ცხოვრობენ ბუნებასთან, ადამიანებთან და საერთოდ ყოფასთან მიმართებით. მხოლოდ ცალკეული მოვლენები არღვევენ ამ ერთსულოვან განწყობას.

სპირიდონის დამოკიდებულება იცვლება ბადრიასთან ურთიერთობისას. არ ათხოვებს თოფს. თოფის გასროლა მისთვის მხოლოდ დადებით ემოციებთანაა დაკავშირებული: კალანდასთან, ომის დამთავრებასთან, შვილის ფრონტიდან დაბრუნებასთან; „ამიტომაც უარს ეუბნება თოფის თხოვებაზე. ზ. ცინცქილაძის ხანდაზმული გმირი არ ეპუება ბადრიას ძალადობასა და მუქარას და უშიშრად ჰპირდება სამაგიეროს გადახდას. ამ ეპიზოდში მსახიობი ავლენს გმირის შინაგანი ბუნების სიძლიერეს, რაც ხანდაზმული ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთან მიმართებით კონტრასტულად გამოიყურება და ამძაფრებს სპირიდონის ემოციებს. მისი მკაცრი გამოხედვითა და აღელვებით ჩანს, რომ, მოხუცებულობის მიუხედავად, არ დათმობს კაცურ თავმოყვარეობას, უსამართლოდ არავის დააჩაგვრინებს თავს. სპირიდონის ემოციური განწყობა იცვლება, როდესაც ბიჭს თოფს აწვდის ძაღლის მოსაკლავად. ამ შემთხვევაში მასში, მისი ნების საწინააღმდეგოდ, სოფლისადმი პასუხისმგებლობა იღვიძებს, იცის, რომ მორალურად არ მოქმედებს მართებულად, მაგრამ შვილიშვილს სოფელთან თანაცხოვრების სამომავლო პერსპექტივას უქმნის, ასწავლის, რომ სოფლის „გადადგომა“ გაუჭირდება. ამ შემთხვევაში სპირიდონი სწორად აცნობიერებს ბრბოდქცეული, სახედაკარგული სოფლის ძალას და მისგან თავდაცვას ასწავლის ბიჭს. მერე კი, დინების საწინააღმდეგოდ მცურავს, დაფიქრებით ეუბნება: „ასე თუ ქენი, ბაბუ, შენ გაგიჭირდება ცხოვრება“. ამ სცენაში



ზ. ცინცქილაძე სახიერად გამოჰკვეთს სპირიდონის შინაგან დაძაბულობას, რაც სამართლიანობისა და უსამართლობის განცდას ამძაფრებს, რაც მის პიროვნულ მრწამსთან, ფაქტობრივად, შეუსაბამოა.

სრულიად იცვლება სპირიდონი, როდესაც ბავშვის წასაყვანად იულია მოდის. მათ დიალოგს შეჯიბრების სახე აქვს, როცა სპირიდონი „უმტკიცებს“ ბავშვი არ შეცვლილა და ისეთივე ცელქიაო. მარტო დარჩენას განიცდის, მაგრამ მასში მაინც რჩება დიდი სიკეთე – იულიას შეცოდებით თავადვე ისაცოდავებს თავს. ამიტომაც ამბობს: **„ძნელია კაცობა, ნამეტანი ძნელი“**. სპირიდონი მორალურად იმდენად სრულყოფილია, რომ იგი იულიას მდგომარეობაში შედის და თავის ერთადერთ იმედს ატანს. ეს სევდიანი განწყობა მალევე ეცვლება გამოქცეული ბიჭის ზურგზე მოხუტებით. სპირიდონი ჯერ შეკრთება, მერე გაუხარდება, გულში ჩაიხუტებს და ცდილობს, შეაგნებინოს დაბრუნების მიზეზი: „სისხლმა დაგაბრუნა, ბაბუ“... და ამ მიზიდულობის ძალის გამოხატულება უნაპირო სიყვარულია.

ემოციურია სპირიდონის სიკვდილისწინა მონოლოგი. მსახიობი საოცარი ოსტატობით ახერხებს შვილიშვილს სიკვდილი დასასრულად კი არა, გარდაცვალება-გარდასახვად აღაქმევინოს, გააძლიეროს და უკვე კაცი, პიროვნება, დატოვოს. ალბათ, ამიტომაც, სპექტაკლის შემდეგ მითხრა ზ. ცინცქილაძემ: „ბაბუა ჯერ არ განმისახიერებია და თუკი სრულყოფილ სახეს შევქმნი, მინდა სესილია თაყაიშვილის დონის ბებიას გვერდით, სამომავლოდ ასეთივე მხატვრული ღირებულების ბაბუას სახე შევქმნა, რომლის განხორციელებაშიც ასაკიცა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც ხელს მიწყობს“...



იულია, მსახიობ **ნაირა გელაძის** შესრულებით, ემოციით აღსავსე ბებიაა. იგი ჯერ სპირიდონს ატანს შვილიშვილს, რადგან ვერ ალაგმა ბავშვის ცელქობა და უნდა უფრო მკაცრი აღზრდის პირობებში გამოსწორების გზაზე დააყენოს. მის მიზანს ბიჭის თავიდან მოცილება არ წარმოაგენს. სპექტაკლის ბოლოს, ბავშვის წასაყვანად მოსულ იულიას გათვითცნობიერებული აქვს მომავალში უბავშვოდ დარჩენილი მოხუცის მორალური მდგომარეობა, ამიტომაც სინანულით ეხვეწება სპირიდონს შვილიშვილის უკან დაბრუნებას და მზად არის, მისი ცელქობაც აიტანოს. ნოდარას გარეშე მისი სახლ-კარის გარემო გაუცხოებულია და შინაგან სიცარიელეს გრძნობს. ამიტომაც ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შვილიშვილი დაიბრუნოს.

ნოდარა, სკოლის მოსწავლის **ზურიკო ფუტკარაძის** შესრულებით, ყმაწვილური ემოციით აღსავსე ბიჭია, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი „დანაშაული“ და თავჩაღუნილი ისმენს ბებიას საყვედურებს. ბაბუასთან ერთად ოდნავ გამოდის ბავშვური გარემოდან, რადგანაც ოჯახისადმი პასუხისმგებლობას გრძნობს. მისი დამოკიდებულება მებუფეტესადმი, ბადრიასა და კირილე მამალაძისადმი (**ბექა თურმანიძე**) პრინციპულია და უარყოფითად აფასებს მათ საქციელს. მართალია, ახალგაზრდა შემსრულებელს ვერ მოვთხოვთ მეტ პროფესიონალიზმს, მაგრამ თავისი გულწრფელი, მართალი დამოკიდებულებით სპექტაკლის საერთო იერსახეში ბუნებრივად ჩაწერა.

**ვალერიან მანზულაშვილის** მებუფეტე თავისი სიფლიდით ცდილობს შვილის მოტყუებას, ძაღლისადმი ცინიკური დამოკიდებულებით დაუნდობელ ხასიათს ამჟღავნებს, თუმცა ბავშვის მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევისას შიშის გრძნობა უჩნდება, ღირსება აღარ ახსენდება. ბადრია **ჯაბა ხუსკივაძის** შესრულებით, საკუთარი ქმედების სიმართლეში დარწმუნებულია და ცდილობს, თავისი აზრი სხვებსაც მოახვიოს, თუნდაც შეშინების ფასადაც. მის აგრესიულ დამოკიდებულებას სპირიდონისადმი შედეგი ვერ მოაქვს. ბადრიას გათვითცნობიერებული არა აქვს თავისი საქციელი და ამიტომაც მიდის სპირიდონის პანაშვიდზე, საიდანაც შვილიშვილი სამარცხვინოდ აგდებს სახლიდან. მაყურებელი ხედავს, რომ ბადრიაში რაღაც ფსიქოლოგიური გარდატეხა იწყება.

**დმანისის თეატრის განახლება და ეს სპექტაკლი ლოგიკურად, ბუნებრივად ეხმიანება ერთმანეთს: ორივე შემთხვევაში „სისხლის ყივილი“ იმარჯვებს, რომ ამ რეგიონში ქართული სიტყვის გაჟღერება მომავალ თაობებს გაუკვალავს გზას. ამიტომაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან (რომელმაც დააფინანსა ეს სპექტაკლი) ერთად, აუცილებლად უნდა მოიძიონ მუდმივმოქმედი თეატრის არსებობისთვის აუცილებელი სახსრები. დმანისის თეატრი – ეს ის არაერმნიშვნელოვანი თემაა, სადაც ყველანი უნდა გავერთიანდეთ.**

**გუბაზ მეგრელიძე**

**სურათებზე:** სცენები სპექტაკლიდან „სისხლი“.

# დავით თურდოსპირელის სიყვარულის ამბავი



ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი მწერლის ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘᲡ (დავით ჩხეიძე) ერთი სიყვარულის ისტორიამ ილია ჭავჭავაძის და მისი მეუღლის ოლღა გურამიშვილის ნაცნობობის პროლოგი და ინტრიგა მომაგონა, როცა თავად ქალმა მისწერა ბარათი მისთვის იდეალურ მამაკაცს. ახალგაზრდა ოლღას ეს ნაბიჯი, იმ დროებისთვის მართლაც რომ ძალიან თამამი, საბოლოოდ საბედისწერო სიყვარულით გვირგვინდება...ილია თავისი წერილებით და ურთიერთობის ფორმით თავად შექმნის ქალს, რომელსაც დაერქმევა „ილია ჭავჭავაძის მეუღლე."

„ჩემი სული შენ დაგეძებდა. მინდა შენს წინაშე მწუხრისგან დაქანებულ მზესავით დაჩოქება" – წერს დავით თურდოსპირელი მომავალ მეუღლეს, მისი შემდგომი ცხოვრების განუყრელ მეგობარს – ალექსანდრა (სანიკო) კრემენსკაიას, საქართველოში დაბანაკებული პოლონელი ოფიცრის ალექსანდრე კრემენსკის და თელაველი სოფიკო ზაზაშვილის ქალიშვილს. მათ შეეძინათ გოგონა ლამზირა (შემდგომში ცნობილი მსახიობი ლამზირა ჩხეიძე).

დავით ჩხეიძე (შემდგომში ფსევდონიმით თურდოსპირელი) თელავის ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლიდა, როცა მისივე მოსწავლისგან სანია კრემენსკაიასგან სულისშემძვრელი ბარათი მიიღო.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს დავით თურდოსპირელის და ალექსანდრა კრემენსკაიას პირადი წერილებიდან.

თელავი 31.01.1927

*ძვირფასო ხელმძღვანელო, მთელი ჩემი ძლიერი განცდით, ჩემი ცეცხლოვანი გრძნობებით, გაღმერთებთ... ჩემი აფორიაქებული, მშფოთვარე სულით გეთაყვანებით, როგორც მგოსანს,იშვიათ პიროვნებას, შემთხვევით მოვლინებულს ამ ადამიანთა შორის.უსპეტაკესია და ფაქიზი ეს ჩემი თაყვანისცემა, უნაზესი, მაგრამ უძლიერესი. მიიღეთ ჩემი ეს გრძნობები, მიიღეთ მადლობად თქვენი ჩემდამი განწყობისათვის....ბევრჯერ მოუწამლავთ ჩემი სულიერი ცხოვრება. ბევრჯერ შხამში მოუდაღავთ ჩემი გულუბრყვილო მინდობა, ჩემი ღრმა რწმენა... სული დამიცარიელდა, ვიგრძენი ცხოვრების საშინელი არარაობა, საზარელი სიცარიელე. გული გამებზარა – საშინელი, შიშველი სიცრუის წინაშე...*

*ვფიქრობდი, ნუთუ ცხოვრებას არა აქვს სილამაზე. ნუთუ საშინელი, გამყინავი სიცრუეა ის მიმზიდველობა, რასაც ჩვენ ვეძებთ ცხოვრებაში? ნუთუ არ არსებობენ ქვეყნად სპეტაკი სულები, ადამიანები?.. მე ველოდი... და სახტად დავრჩი, როცა ვიხილე სული ამ პიროვნების. გამახსენდა ერთი მომენტი, რომელიც აღწერილი მაქვს ასე: იგი თეატრის სცენის წინ, ხავერდის ფარდის ფონზე, ასვეტილიყო ვით ქანდაკება, სათაყვანო დიდების პიედისტალზედ... ამართულიყო, ვით უსულო ქანდაკება, რაღაც თილისმის მატარებელი. იყო უძრავი რამდენიმე წუთს, მაგრამ ამ მდუმარებით და უძრაობით მეტყველებდა იმდენს, რამდენსაც ვერ იტყვის სხვა რამდენიმე წელი. მასში იყო რაღაც უჩვეულო ძალა და უცებ ამ ქანდაკებას შთაებერა ზეცით სული, მისი არსება გაცოცხლდა და ამეტყველდა მისი ბაგე. ადგილზედ მიმაჯაჭვა, სუნთქვა შემიჩერა, მომაჯადოვა მისმა მეტყველებამ. უცნაური ეშხით სუნთქავდნენ მისი სიტყვები. უცნაურად კვნესდნენ მისი თვალები, უცნაურად მეტყველებდა მისი ყოველი მოძრაობა და იფრქვეოდა დარბაზში მისი მშფოთვარე სული უხვი ტალღები. რა განუმეორებელი, საშინელი საზღვარი იდგა იმ ადამიანებისგან, იმ ერთგავრი სხეულთა კრებულისგან, რომელბიც მხოლოდ იმით განირჩევიან მკვდართაგან, რომ ჭამენ და სვამენ.*

*იგი, ანუ თქვენ, სხვებს არ ჰგავს. იგი ის იშიათი ადამიანია, რომელთა მსგავსს ცხოვრების მშფოთვარე ზვირთები იშვითად თუ ამოაქანავებენ. მას თავის არსებაში გადაუდუღაბებია სული მიუწვდომელ სიმაღლეზე აყვანილი. მისი გული ზღვაა, უზარმაზარი, ფაქიზი, უსპეტაკესი...*

*მე ჩემი სული ავალაპარაკე ამ ქაღალდზე და მომიტევეთ თუ ვერ მოგიძღვენით ძვირფასი თაიგული გრძობათა ყვავილებისა, სუსტ სიტყვებში აკინძული.*

*პატივისცემით,*
*სანია კრემენსკაია*

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ – ᲡᲐᲜᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲡᲙᲐᲘᲐᲡ

*ვკითხულობ ახლა თქვენს უსტარს, მეგობარო სანია და მე ჩემი თავი მიმაჩნია იმ დიდ დამნაშავედ, რომელმაც მოიპარა ბედნიერება და გამოიმწყვდია თავის გულში, ...თავი მიმაჩნია უპატიებელ დამნაშავედ, რომელმაც მოგტაცათ თქვენი სული და არ ვიცი, მე ვინაღვლო ჩემი ასეთი კადნიერება თუ ვიხარო, ვინეტარო... შიშით გელოდით.გაბედვით ვერცკი გიყურებდით, აჩრდილივით თან დაგდევდით.ბინდისას გადმომეცით წერილი და შემეშინდა, უაღრესად შემეშინდა მისი წაკითხვის... არ ვიცი, რად შემეშინდა: იმისთვის თქვენი რისხვა იქნებოდა თუ იმისთვის, რომ თქვენს სამეგობრო ხელს ვიგრძნობდი, თქვენგან გამოწვდილს... გავხსენი, წავიკითხე. განა ამდენ ბედნიერებას ვითხოვდი?*

*თქვენ გადაგიშლიათ თქვენი მდიდარი გული და მიწვევთ... ახ, მეგობარო, ჩემო კარგო მეგობარო... რა მძიმეა იმის შეგრძნება,რომ შენ გიყვარს ადამიანი მაშინ, როცა გამძიმებს 39 წელიწადი... 39 მძიმე ტანჯვით და ქარიშხლებში გამონამსხვრევი წლები... ძვირფასო მეგობარო, სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანის ტრაგედია, რომ ერთმანეთს ვერ პოულობენ.იმ დღეს მეტერლინკის პიესას ვიხსენებდი. მომავალი, ჯერ დაუბადებელი საუკუნეების სამეფოში სწარმოებს მოქმედება. იქ ჟამი ცივი და გოროზი სდგას და გზავნის მომავალ ადამიანებს ქვეყნად, მაგრამ ისეა საქმე:ზოგი ადრე უნდა დაიბადოს, ზოგი გვიან... არჩევანის უფლება არავის აქვს. მეტერლინკის პიესაში 2 მეგობარიდან ერთ-ერთი ადრე უნდა დაიბადოს, მეორე გვიან.... ემშვიდობებიან ერთმანეთს ქვითინით.... პირველი სასოწარკვეთით ხელს გაუშვებს მეორეს და შეღაღადებს: თუ ჩვენ როგორმე მაინც შევხვდით ქვეყნად, ნიშანი, ნიშანი მითხარი, როგორ გიცნოვო... მეორე მიუგებს: ჩემი ნიშანი ის იქნება, რომ ყოველთვის მეყვარებიო.... პირველიც უდასტურებს: ყველაზე მწუხარე და სევდიანი მე ვიქნებიო, იქნება იმით ვიცნოთ ერთმანეთიო... მაგრამ მე რომ ეს არ მანუგეშებს – ჩვენ ვიცანით კია ერთმანეთი, მაგრამ ვაი,რომ მეტად ადრე მომიხდა მე ამქვეყნად მოსვლა, თქვენ კი მეტად გვიან... ეჰ, დავანებოთ ამას თავი... ის ულმობელი დრო – მე არას ჩამომაცლის და არც თქვენ არ მოგიმატებთ წლებს....*

*14 ნოემბერი, 27 წ.*

ᲡᲐᲜᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲡᲙᲐᲘᲐ – ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡ

ღამის 12 საათი. თელავი

*შორიდან მხურვალე სალამი და ნაზი ამბორი ჩემს ძვირფას დათიკოს, ჩემს სალოცავს, ჩემს სიხარულს და ბედნიერებას!*



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲡᲙᲐᲘᲐ

*დათიკო, გენაცვალე, მგონი უკვე დაქანცული ხარ მუშაობით, მგონი დაღლილი, დაწყვეტილი ხარ, შეწუხებული და მე მინდა, გადავევლო მანელებელ სიოდ შენს შუბლს, შენს მოღლილ გონებას, მე მინდა, ბედნიერების სხივები გადავაფრქვიო შენს მრავალტანჯულ არსებას. მინდა, შენ იყვე ის იშვიათი ბედნიერი, რომელიც უდარდელად იცინის, რომელსაც ატკბობს ცხოვრების სილამაზე და ეშხი. არ ვიცი, ჩემო დათიკო, რამდენად შევძლებ სურვილის საქმეში გადაქსოვას. არ ვიცი, არის თუ არა ჩემში ის ძალა, რომ ადამიანს მივცე ბედნიერების ნავსაყუდელი, რომ ძვირფასი ადამიანის სულს მფარველ სინაზედ მოვევლინო, ბედნიერების მოციქულად ჩამოვუქროლო. ადამიანი ისე პატარა, ისე უმწეოა, მეშინია, ულმობელმა, კრულმა ცხოვრებამ ყოველგვარი ეშხი და მიზიდულობა არ ჩამოაცილოს მომავალს და საშინელი, დამაზრობელი პროზის წინაშე არ დაგვაყენოს. მე რომ ვფიქრობ ჩვენს მომავალზე, იგი ისეთ ლამაზ ფერებში, ისეთ მომხიბლავ ფორმებში მესახება, რომ დამათრობელი სილამაზეა, მომხიბლავი ზღაპარია, მაგრამ ცხოვრება ხომ ზღაპრებს არ იცნობს...*

*მაგრამ იქნებ ჩვენ დაგვითმოს ცხოვრებამ, იქნებ ჩვენი ძლიერი გრძნობის ქარტეხილს მისმა ზვირთებმა ძალა შემატონ. ჩვენ ვიბრძოლოთ, ვიბრძოლო აზვირთებულ, აბობოქრებულ ღელვის წინააღმდეგ. ვიბრძოლოთ, ძალა ვიპოვოთ ერთმანეთში და ერთმანეთისთვის.*

*შენი სანია კრემენსკაია*

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ – ᲡᲐᲜᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲔᲜᲡᲙᲐᲘᲐᲡ

*სანიკო, კვლავ, კვლავ შენი საარაკო მზრუნველობაა. რამდენადაც მე პირშავად ვჩნდები შენს წინაშე, იმდენად შენ კაშკაშდები, ცისკროვნდები და მრცხვენია ჩემი თავისა.*

*იცი, სანიკო, იცი, რა გითხრა? მე რამდენი ხანია მინდოდა რაღაც შენთვის გამემხილა, მაგრამ ვერ ვბედავდი...*

*მე...*

*შენ ხომ კარგად იცი ჩემი წამებული დედიკოს ვინაობა, მისი გრძნობების სიმდიდრე... ის ხომ დედობაში პოეტი იყო. ის ხომ ისე მდიდარი იყო გრძნობით, რომ გადალის ძებნა მიძნელდებოდა. არავინ, არავინ არ შემხვედრია ისეთი, რომ ჩემი დედიკოსათვის შემედარებინა... მით უფრო ის ქალები, რომლებთანაც ჩემმა აწყვეტილმა გრძნობებმა შემაკავშირა...*

*ყოფილი მეუღლე – ხომ მიყვარდა გაგიჟებით, მიყვარდა ბევრი ღირსებებისათვის, მაგრამ მაინც ჭკვაში არ მომდიოდა, ჩემი დედოკოსთვის შემედარებინა.*



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ

*მით უფრო დაღუპვის შემდეგ, დედიკო ნამდვილად შარავანდედიანი მეჩვენა. თვალზე ლიბრი გადამეშალა და დავინახე, ვიგრძენ რა დიადი ყოფილა დედილო და რა უამურობას ვიჩენდი მისადმი. გაიზარდა დედიკო ჩემს თვალში, ამაღლდა და სხვანი უფრო დაკნინდნენ...*

*და ამ დროს... ამ დროს ჩემი დაძაბული, ცრემლებით დაისრული სულის განწირულების ნაპრალებიდან, ჩემი შინაგანი რაობის ძახილი ჩამესმა: იცით?.. იცით? ვფიცავ დედიკოს, ჩემს წამებულ დედიკოს სალომეს ვფიცავ, რომ სანიკო გავს, სანიკო ბევრს რამეში გავს ჩემს დედიკოს.*

*ორივე ჩემი მშობელი, გამაბედნიერებელი.*

*დედიკომ დამბადა. დედიკომ მაზიარა თავის მდიდარ სულს. დედიკომ შემომწირა თავისი დიდი ნიჭი სიყვარულისა... დედიკომ...*

*და განა შეიძლება ჩამოთვლა იმისა, რაც მე დედიკომ მომმადლა.*

*სანიკო ჩემი შემოქმედია, სანიკომ მეორედ დამბადა და მომანიჭა გაზაფხული, მაჩუქა ისეთი გაზაფხული, რომლის მსგავსი წინათ არ მქონია.*

*მეგობარო, მეგობარო...*

*ახალი გაზაფხული მეძახის, მშვიდობით ძველო ჭრილობებო. და შენ თითქოს ყვედრებით ამბობ: როდის იყო შენი პირველი გაზაფხულიო?*

*მეგობარო, გაზაფხულები მქონია, მაგრამ უფრო ნისლიანი იყო ის გაზაფხულები....*

*შენ ხომ იცი, მე არ გავბედავ და ჩემი დედიკოს სახელს ბოროტად არ გამოვიყენებ. შენ ხომ იცი, ჩემი დედიკოს დაღუპვის შემდეგ, აღარავინ ჩამითვლია დედად, არავის ვუწოდებ დედას.*

*მე არავინ, არავინ არ შემიდარებია დედიკოსთვის.*

*დედიკო იყო უნიკუმი, განუმეორებელი.*

*დედიკო და სანიკო არასოდეს არ ყოფილა ერთად, მაგრამ ძალიან გვანან ერთმანეთს, ძალიან.*

*დათიკო სწუხს იმდენი სიმწარე მიაყენა ორივეს, მაგრამ რომელსაც ისე ძალიან უყვარს და უყვარდა ორივე. ხანდისხან ეჭვი მებადება სანიკო ჩემი და ხომ არ არის-მეთქი... მაგრამ ეს ხომ ხანდისხან, ეს მაშინ, როცა ვლაღდები, ჩემს თავში ვმაღლდები, ვდიდდები. თორემ რა გვაქვს აბა, საერთო? თუმცა ბევრი რამ გვაქვს საერთო, იმიტომ რომ მე და შენ ჩემ დედიკოს ვგავართ, იმიტომ, რომ ორივე მგრძნობიარეები ვართ. ორივეს გვიყვარს ნაპრალების პირას განავარდება.*

*ო. ძვირფასო, ო, ტკბილო მეგობარო, შენა ხარ ჩემი უკანასკნელი გაზაფხული და ამას გეტყოდი მაშინაც, თუნდაც შემხვედროდი ჩემი ჭაბუკობის, ჯერ ისევ რომანტიულ ნისლებით მოჯადოებულ გაზაფხულზე.*

*შენი დათიკო,*
*სიღნაღი, 10-2-28 წ.*

ბარათები მოგვაწოდა ᲚᲐᲛᲖᲘᲠᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲛ.

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ: „კვირაძალის საკითხავის" შემდეგ ნომერში ქალბატონ ლამზირა ჩხეიძე მოგვითხრობს ჩხეიძეების ერთ დიდ ოჯახზე, რომელთა წიაღშიც ქართული საზოგადოების ელიტა აღიზარდა.

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ძალოსნობა

# მონაწილე - ორი, მედალი - ხუთი



**ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე, რომელსაც შვედური ლანდსკრონა მასპინძლობს, 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში 17-წლამდელმა სპორტსმენებმაც მოსინჯეს ძალები. ქართველთაგან ფიცარნაგზე გავიდნენ მსოფლიოს წლევანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი რევაზ დავითაძე და ირაკლი ჩხეიძე.** აქტაცში მათ მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, შესაბამისად, 136 და 130 კილოთი. 140 კილოთი პირველი იყო პოლონელი კასპერ ბადიაკოვსკი. აკვრაში ბადიაკოვსკიმ და დავითაძემ 164-164 კილოგრამი დაძლიეს. პირადი წონით ქართველი პოლონელზე მსუბუქი იყო და მცირე ოქროს მედალი მას ერგო. ვერცხლი ბადიაკოვსკის ხვდა, ხოლო 157 კილოგრამით ჩხეიძე მეოთხე ადგილზე გავიდა.

**კვარცხლბეკი**

1. კასპერ ბადიაკოვსკი (პოლონეთი) – 304 (140+164),
2. რევაზ დავითაძე (საქართველო) – 300 (136+164),
3. ირაკლი ჩხეიძე (საქართველო) – 287 (130+157).

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: რევაზ დავითაძე და მისი მწვრთნელი თემურ ჯანჯღავა.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ძიუდო

# „ოქრო" 12 წამში დათმო

**სარაევოში მიმდინარე ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობის მეორე დღემაც საქართველოს დელეგაციისთვის უჩემპიონოდ ჩაიარა, არადა, მიზანთან ახლოს იყვნენ: 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში ბაგრატ ნინიაშვილი შეხვედრის დამთავრებამდე 12 წამით ადრე ვაზარით უგებდა იტალიელ ჯოვანი ესპოზიტოს, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში იპონით დამარცხება მოახერხა.**

აპენინელმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში მეოთხედ აჯობა ჩვენებურს: ივლისის დასაწყისში ევროპის პირველობაზე პირადშიც მოუგო და გუნდურშიც, მერე თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის ნახევარფინალში სძლია. და აი, მარცხი სარაევოშიც. გადამწყვეტ პაექრობამდე ნინიაშვილმა რუმინელი ადრიან სტოიკა, მოლდოველი კორნელ ანდრესი, იაპონელი ჰიდეუკი იჩიგოოკა და თურქი უგურ სარიკაია ჩამოიშორა გზიდან. საბოლოოდ მან სპორტული კოლექცია ევროპისა და ფესტივალის „ბრინჯაოებთან" ერთად მსოფლიოს პირველობის „ვერცხლით" გაიმდიდრა.

60 კილოში ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი და თბილისური ფესტივალის გამარჯვებული რობინზონ ბეგლარიშვილი ჭიდაობდა. ჯგუფში მან იტალიელი ლუკა ცაჯიანო, ჰოლანდიელი ლარს კამპჰუსი და რუმინელი ფლორინ სელეა დაჯაბნა, მაგრამ ნახევარფინალი ბრაზილიელ მიხაელ მარსელინოსთან გაფრთხილებებით დათმო. სამაგიეროდ, ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლა აზერბაიჯანელ მაჰამად ჰაჯიევს 10 წამში მოუგო.



სამწუხაროდ, ნაადრევად დამარცხდნენ და უმედლოდ დარჩნენ ნატალია ყიფშიძე (48), ევროპის პირველობისა და ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული მზია ბებოშვილი (52) და ნინო მგელაძე (52).

**გივი გაგუა**

წყალბურთი

# ერთი საკვალიფიკაციო თბილისში გაიმართება



**12 გუნდი ჩაებმება წყალბურთელ ვაჟთა 2015-2016 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპში.** მომდევნო რაუნდში გასასვლელად თბილისის „ლოკომოტივი" **C ჯგუფში** ბუდაპეშტის (უნგრეთი) OSC-ს, ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-1898"-სა და მარსელის (საფრანგეთი) CN-ს დაუპირისპირდება. შეხვედრებს ჩვენი დედაქალაქის საცურაო აუზი „ოლიმპიკი" უმასპინძლებს.

**დანარჩენ ორ საკვალიფიკაციო ჯგუფში იბრძოლებენ:**

A **ჯგუფი** (მასპინძელია ჩერნოგორიის ჰერცეგ ნოვი). ზაგრების (ხორვატეთი) „მლადოსტი", ჰერცეგ ნოვის „იადრანი", ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკი", მონპელიეს (საფრანგეთი) „ვატერპოლო".

B **ჯგუფი** (მასპინძელია მალტა). ვერონის (იტალია) SM, ორადეას (რუმინეთი) „დიგი", ბუდვის (ჩერნოგორია) VK და მალტის „ვალეტა".

სამივე ჯგუფის შეხვედრები 4-6 სექტემბერს გაიმართება.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

# ბრაზილიის მიწა - ლამაზმანთა სამჭედლო



**სამი რამ აქვს ბრაზილიელ ხალხს ყველაზე დიადი და თვალშეუდგამი: ფეხბურთის სიყვარული, მომავლის რწმენა და ლამაზ ასულთა შობის საოცარი უნარი. ბრაზილია ხომ ის ქვეყანაა, სადაც მოდარაჯე კაცი თვალის ერთი გადავლებითაც კი დაინახავს ეშხსა და სიკისკასეს ასულთა მათსას.**

ჩვენს პლანეტას უწინამც დღენი დაელიოს, თუკი ბრაზილიას ლამაზმანები დაელევა. „ვიქტორია სიქრიტის" ცნობილ სამოდელო სახლს ხომ საერთოდ „ნადირობა" აქვს ბრაზილიელ ასულებზე გაჩაღებული. ბოლო დროს, განსაკუთრებული პოპულარობით „სიქრიტის" მოდელი, წარმოშობით რიო დეჟანეიროელი იზაბელ გულარტი სარგებლობს, რომელმაც მთელი მსოფლიოს არაერთი ფერადი ჟურნალის ყდა დაისაკუთრა.

ტანაშოლტილი იზაბელი ყველა სიკეთესთან ერთად „სელესაოს" თილისმადაც ითვლება და ამ კუთხით არსებულ დიდ კონკურენციაშიც კი ისე ნათლად და ლამაზად მოჩანს, როგორც ერთი გონიერი კაცი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის თვითმარქვია მთავრობაში.

## კონკურსი

*საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრის ვაკანსიებზე ქვემოთ ჩამოთვლილ განყოფილებებში:*

*მათემატიკის და მექანიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, გეოგრაფიის და კლიმატოლოგიის, გეოლოგიისა და სამთო მეცნიერებების, ბიოლოგიისა და აგრარულ მეცნიერებათა, სამედიცინო მეცნიერებების – ორ-ორი ვაკანსია; ფიზიკის, ქიმიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სამართლის, პოლიტიკურ და ისტორიულ მეცნიერებათა, ლიტერატურის და ხელოვნების – თითო ვაკანსია.*

*კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს – განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო ხარისხისა და აკადემიური წოდების დიპლომების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, 2 ფოტოსურათი (3x4).*

***საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 20 სექტემბრამდე შემდეგ მისამართებზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 3, თსუ XI კორპ., ოთახი 324 ან თბილისი, მ.კოსტავას ქ. 77, სტუ IV კორპ., ოთახი 403 და 405.***

შესაძლებელია საბუთების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართებზე: **manana_khachidze@gmail.com** ან **t.berber@mail.com**

*ცნობებისათვის: ტელ. 599 61 77 00, 599 15 66 80, 577 30 01 92.*

## განცხადება

სს „ელმავალმშენებლის" აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმავალმშენებლის" წესდების 19.5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 54.1[1] პუნქტის შესაბამისად, სს „ელმავალმშენებლის" აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის LOKO TRANS HOLDINGS B.V.-ის (დარეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში ნომრით 34362504, მისამართი: ორლიპლეინის 10, სართული 24, 1043DP, ამსტერდამი) დირექტორი კომპანიის AlliedCorporate Management B.V.-ის (დარეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში ნომრით 34245837, მისამართი: ორლიპლეინის 10, სართული 24, 1043DP, ამსტერდამი) დირექტორმა, განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობის რაოდენობრივი ცვლილებების შესახებ;
2. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკითხების განხილვის შედეგად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობრივი შემადგენლობა არსებული 8 კაცის ნაცვლად განისაზღვროს 7 კაცით;
2. 2015 წლის 16 ივლისიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან გამოწვეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გენადი ბოიარსკიხი.

**სს „ელმავალმშენებლის"**
**სამეთვალყურეო საბჭო**

ინფორმაცია

## ხანძარი წყლულეთში

**თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წყლულეთში 10 ჰექტარამდე ტერიტორიაზე ხანძარი გავრცელდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან აცნობეს, სოფელ წყლულეთში ხანძრის შედეგად კოტეჯი, ბალახი და ბუჩქები იწვოდა.**

**მათივე ინფორმაციით, ხანძარი გავრცელებული იყო 10 ჰექტარზე.**

**ხანძრის ადგილზე 10 ავტოცისტერნა და 1 ვერტმფრენი მუშაობდა. ამ დროისათვის ხანძარი ლოკალიზებულია. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.**

რეკლამა
293-37-87

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მაია პაიჭაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია პაიჭაძე (პ/ნ 46001003813), ჩოხატაური, აღმაშენებლის I ჩიხი, ბინა №10;

2. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ჩოხატაური, კალანდაძის ქ. №8 (საკადასტრო კოდი: 28.01.21.072).

3. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 9043,97 ლარი;**

5. **აუქციონის დაწყების დრო: 2015 წლის 21 აგვისტო, 11:00 საათი;**

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;**

7. **მოვალე:** მაია პაიჭაძე (პ/ნ 46001003813), ჩოხატაური, აღმაშენებლის I ჩიხი, ბინა №10;

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. აუქციონის პირობები:
.აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
.მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
.აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
.აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 21 აგვისტოს, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

**სანთელი**

# ასინეთ (ნონა) ანდროს ასული შილაკაძის გახსენება



ასინეთ (ნონა) ანდროს ასული შილაკაძე პროფესიით ფილოლოგი გახლდათ, მუსიკალური ნიჭიერთა ათწლედის კურსდამთავრებული, ვოკალისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, შრომის ვეტერანი. გარკვეული წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში ხელმძღვანელობდა განყოფილებებს. 27 წელი იმსახურა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სარეჟისორო განყოფილების უფროსად.

ქალბატონი ასინეთ-ნონა შილაკაძე ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, კერძოდ, მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფია „მუსიკა ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ და სხვ.

წავიდა ჩვენგან დიდად კეთილშობილი ადამიანი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, წავიდა და დაგვიტოვა უზომო მწუხარება და გულისტკივილი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უსპეტაკესი სული. მის დანატოვარ დიდ ოჯახში ის ყოველთვის დარჩება ნათელ მოგონებად.

**და-ძმა მარინა და თამაზ შილაკაძეები თავიანთი ოჯახებით.**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ განმეორებით აუქციონს შპს „თეთრი ქალაქის“, გიორგი ბაქანიძის და შპს „დომუს დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „თეთრი ქალაქი“ (ს/ნ 202064283), თბილისი, ცაბაძის ქ. №8-ბ;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ცაბაძის ქ. №8-ბ, ფართი №344, 408.30კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.052.01.344).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ბაქანიძე (პ/ნ 01024034290), თბილისი, გივი კარტოზიას ქ. №5, ბინა №1;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, ავტოსადგომი 21.34კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.511).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ბაქანიძე (პ/ნ 01024034290), თბილისი, გივი კარტოზიას ქ. №5, ბინა №1;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, სართული 5, საერთო ფართი 185.70კვ.მ., საზაფხულო ფართი 20.80კვ.მ., ჰოლი 7.31კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.510).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დომუს დეველოპმენტ“ (ს/ნ 205210261), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33ა;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2 (ნაკვეთი №3/47), ბლოკი, სართული 6, ბინა №69 (საკადასტრო კოდი: 01.14.08.003.047.01.069).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

5. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 1932919,30 ლარი** (მათ შორის დღგ-ით დასაბეგრი: 1. შპს „დომუს დეველოპმენტ“-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ღირებულება ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებით შეადგენს 157500 ლარს დღგ-ის ჩათვლით (დღგ არის 24025,05 ლარი); 2. შპს „თეთრი ქალაქის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ღირებულება, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებით შეადგენს 1575000 ლარს დღგ-ის ჩათვლით (დღგ არის 240250,05 ლარი);

6. **უძრავი ნივთების რეალიზაციის წესი:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხდება ერთ ლოტად;

7. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 21 აგვისტო, 10:30 საათი;

8. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. მოვალეები:
შპს „მგგს საქართველო“ (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;
ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
შპს „მულტი სალარო“ (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57.

10. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

11. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 21 აგვისტოს, 10:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◉ სულიერება

# პანტელეიმონობა



**9 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის (მკურნალის) ხსენებას, რომელიც იყო უდიდესი მოღვაწე...**

...წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონი დაიბადა ნიკომიდიაში მესამე საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ქრისტიანული ღირებულებებისთვის აღზრდა თავის თავზე აიღო დიდმა სასულიერო მოღვაწემ — ერმოლაოსმა.

საგულისხმოა, რომ პანტელეიმონ მკურნალს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ცნობილი მედიკოსების ნაშრომები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანტელეიმონ მკურნალი ავადმყოფებს კურნავდა ქრისტეს სახელით და თავისი სამედიცინო გამოცდილებით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

პანტელეიმონ მკურნალის მკურნალობით ხეიბრები დადიოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ. განკურნებულნი ღმერთს ადიდებდნენ!

პანტელეიმონ მკურნალი ქრისტიანობის ქადაგებისთვის სიკვდილით დასაჯეს. მოწამეობრივად აღსრულებული პანტელეიმონი წმინდანად შერაცხეს.

**გიული ლიპარტია**

## იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

## იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

# სკანვორდი



რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

**— ექიმო,** იმპოტენციის საწინააღმდეგო ტაბლეტები, წინა კვირას რომ გამომიწერეთ, საოცრებაა! ოცი წლისა მგონია თავი!
— შესანიშნავია, მიხარია! რას ამბობს ამაზე თქვენი ცოლი?
— არ ვიცი, ექიმო, მას შემდეგ ჯერაც არ შევსულვარ სახლში.

* * *

**მამა** აივანზე ზის, ლუდს წრუპავს და კაიფობს.
— მამი, ბებიამ თითზე მიკბინა! — შესჩივის პატარა შვილი.



— ვინ გთხოვა, გალიაში ხელი შეყავიო? — წყნარად პასუხობს მამა.

* * *

**თუ** პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება, სანერვიულო არაფერია, თუ პრობლემა გადაუჭრელია, ნერვიულობა უაზრობაა.
ეს არის ბედნიერების მთელი არსი.

* * *

— **სარა,** შეიძლება, რომ ყავა დავლიო?
— აბრამ, მე რა, ექიმი ვარ? რა ვიცი, შეიძლება თუ არა შენთვის ყავის დალევა?

* * *

— **დეიდა,** თქვენ გუშინ შეცდომით დამიბრუნეთ ხურდა, — ეუბნება პატარა ბიჭი გამყიდველს.
— რას ამბობ, ბიჭო? თუ ასეა, გუშინვე უნდა მისულიყავი და არა დღეს!
— კარგი, მაშინ დავიტოვებ იმ ზედმეტ 35 ლარს.

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე